დამატებითი ავტოსადგომი საბაგიროს ქვედა სადგურთან 5 დიდი ზომის ავტობუსისთვის და 15 მიკროავტობუსისთვის, ასევე 30-45 მსუბუქი ავტომობილისთვის ( ამის გარდა, ინვალიდებისთვის პრიორიტეტული პარკინგის ადგილი და გამოყოფილი თავისუფალი ადგილი სერვისისა და სასწრაფო დახმარების მანქანებისთვის)

საბაგიროს ბოძების მშენებლობის, ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობისთვის დამატებითი სერვისული გზების ან ბილიკების პროექტირება და მშენებლობა

საბაგირო გზის ზედა სადგურის კომპოსტირება (კვების მომსახურების შემთხვევაში)

ნარჩენების დასახარისხებელი პირველადი ურნები უბნებისთვის ან მიმდებარე უბნების ჯგუფებისთვის (ხე/ქალაღდი, პლასტმასი, მინა, ფოლადი, ზოგადი ნარჩენები) საკაბელო გზის ზედა სადგურისთვის

# 7. ტერიტორიის განვითარების პროგრამები

## 7.1. ტურისტული ინფრასტრუქტურა

### პროგრამის აღწერა

ინფრასტრუქტურული პროგრამის მიზანია სოფ. ყოროლისთავის, ასევე მტირალას ეროვნული პარკის არსებული ინფრასტრუქტურის ხარისხის გაუმჯობესება და ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს ეკოტურიზმის პრაქტიკის განვითარებას და გაზრდის სოციალურ მდგრადობას (მაგ. საზოგადოების ჩართულობა, ჯანმრთელობა, და უსაფრთხოება) და ასევე ხელს შეუწყობს მტირალას ეროვნული პარკისა და მიმდებარე თემების მდგრადობას.

ჩვენ განვასხვავებთ ჩვენი წინადადების ორ ვარიანტს. 25-წლიანი გრძელვადიანი ხედვა რეგიონისთვის, რომელიც ვიზიტორთა რაოდენობას წელიწადში 300 000-მდე გაზრდის და მოკლევადიან სამოქმედო გეგმას, რომელიც მიზნად ისახავს მსუბუქი, ძირითადი ინფრასტრუქტურის განხორციელებას, რომელიც გააუმჯობესებს ვიზიტორთა გამოცდილებას მოკლევადიან პერიოდში და მრავალფეროვანს გახდის ტურისტულ შეთავაზებებს.


### პროგრამის მიზნები

- მოსახერხებელი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა ეკოტურიზმის პრაქტიკის გასაადვილებლად
- ტურისტული გამოცდილების გასაუმჯობესებლად და შეთავაზების გასაფართოებლად საჭირო ინფრასტრუქტურის დაპროექტება და აშენება.
- არსებული მისასვლელი გზების გაუმჯობესება
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება
- დამატებითი საცხოვრებლის უზრუნველყოფა. (საბაზისო ბანაკი, ეკორეტრეტი)
- დამატებითი, თემატური ცდების უზრუნველყოფა
- არსებული ბუნებრივი და კულტურული ფასეულობების ინტერპრეტაცია
- დამატებითი (ხელოვნური) ატრაქციონები მნახველთა მრავალფეროვანი ჯგუფისთვის, როგორცაა ლენდ-არტ ინსტალაციები, სათამაშო მოედნები და ინტერაქტიული ობიექტები



# ტერიტორიის განვითარების პროგრამები

## ტურისტული ინფრასტრუქტურა



# ტერიტორიის განვითარების პროგრამები ტურისტული ინფრასტრუქტურა

## არქიტექტურული კონცეფცია

მტირალას ეროვნული პარკი უკიდურესად თავისებურ ბუნებრივ ვითარებას წარმოადგენს. ფოთლოვანი ტყე ძალიან მდიდარია ფლორითა და ფაუნით, ამინდის პირობები სწრაფად ენაცვლება ერთმანეთს, რაც ამ ადგილს უნიკალურ ადგილად აქცევს როგორც ეკოლოგიური, ასევე წარმოსახვითი თვალსაზრისით. ნისლის ფარდა, რომელიც ხშირად გვხვდება ხეებს შორის, ქმნის გაუღწეველ და იდუმალ ატმოსფეროს, ხოლო წვიმის დროს ტყე ივსება ხრაშუნის და ბრახუნის ხმებით. ზოგჯერ მზის რამდენიმე სხივიც კი ახერხებს ღრუბლების გარღვევას და ყველაფერი ეს ვიბრირებს ფოთლებზე არეკლილი შუქით.

**შუაშლია კი რომელი ნაგებობას დაიდოს ბინა ამ არაჩვეულებრივ გარემოში ისე, რომ არ დაამახინჯოს ის, არამედ გაძლიეროს ეს თავისებურება?**



65: \*არქიტექტურული ინსტალაციების შესახებ მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ დანართი 00

## მტირალას თავისებური ამინდი



69: ნისლი



70: ღრუბელი



71: წვიმა

## ნაგებობა, როგორც ატმოსფერული მოწყობილობა



68: Yunoeki Oyu, 2018, Oyu, Kengo Kuma



67: წვიმის პავილიონი, 2019, Hefei, TJAD architects



66: Luce Tempo Luogo, 2011, Milan, DGT Architects

# ტერიტორიის განვითარების პროგრამები

## ღურისთული ინფრასტრუქტურა

ამ კითხვაზე ჩვენი პასუხი, არის შემდეგი: ძალიან მსუბუქი, კომპაქტური და დელიკატური ობიექტების შექმნა, ისეთი მცირე რამდენიმე წვრილ ფეხზე შემდგარი ნაგებობები, რომელიც ვერ შეცვლის მას, არამედ გამოყოფს საკუთარ თავს მისგან. ისინი არ იქნებიან შენიღბულები ბუნებრივი გარემოთი, არამედ იქნებიან როგორც უბრალოდ უცხო, მეტაფიზიკური სტუმრები, რომელთა აშენებაც ისევე სწრაფად იქნება შესაძლებელი, როგორც დაშლა.



72: საპიკნიკე მაგიდები




73: ფარნების ქობი (lantern hut)




75: ხიდი



76: შეკიდული ქოხები (cloud pod)



74: საბანაკე შენობა



77: პერბარიუმი

ამ ობიექტების ფუნქცია არ არის ყურადღების მიპყრობა, არამედ მათი გამოყენება, როგორც მოწყობილობები მათი ბუნებრივი გარემოს გასაგებად. თითოეული ნაგებობა შედგება დახვეწილი ფორმის მოცულობისგან, რომელიც, როგორც ნიჟარა, წარმართავს წვიმის წყალს, ატარებს მას ზუსტი მიმართულებით და ქმნის წყლის თამაშებს. მის ქვეშ არის კომფორტული ადგილები დასაჯდომად, საიდანაც შესაძლებელი იქნება პეიზაჟით ტკობა ყველაზე აუტანელ პირობებშიც კი. ამ ნაგებობების ნახევრად გამჭვირვალობაც ამ მიზანს ემსახურება. ის საშუალებას აძლევს ნისლს გაჯერდეს კემპინგის აქტივობებისთვის საჭირო შუქით და ამით მას ხილულს და საგრძნობს ხდის. გარდა ამისა, ამ ზღუდეების სკულპტურული ფორმები მიღებს ხატოვან გამოსახულებას, რომელიც გააძლიერებს ტყის ფანტასტიკურ ატმოსფეროს. თითოეული ობიექტის კონცეფცია იწყება გზამკვლევის სიმბოლოდან, რომელიც გამიზნულია მისი მახასიათებლების შეჯამებისათვის.



# ტერიტორიის განვითარების პროგრამები ტურისტული ინფრასტრუქტურა

ამ კოდის მთავარი ელემენტია ორი ძირითადი მასალის ხის და პოლიკარბონატის გამოყენება და მათ შორის არსებული კონტრასტი.

ხე წარმოადგენს პირდაპირ კონტაქტს ბუნებასთან, ის პირდაპირ მიმდებარე ხეებიდან მოდის. უძველესი მასალაა და ქართული სახლების მშენებლობის ტრადიციას უკავშირდება. ეს არის ადვილად სამუშაო და იაფი მასალა, რომელიც ქმნის ნაგებობის სტრუქტურას.

პოლიკარბონატი, თავის მხრივ, წარმოადგენს ატმოსფერულ კომპონენტებს, რომლებიც ტყეში ისვენებენ. ერთის მხრივ, მისი გამჭვირვალობა აჩენს მას ნისლთან დაკავშირებულს, მეორე მხრივ, მასში ღრუების არსებობა იძლევა წვიმასთან ურთიერთობის საშუალებას მასზე წვიმის წვეთების ხმით. პოლიკარბონატი არის თანამედროვე, უკიდურესად მსუბუქი და იაფი მასალა, გარდა ამისა, იგი წყალგაუმტარია და აქვს შესანიშნავი თერმული შესაძლებლობები, რაც მას იდეალურს ხდის ბუნებაში პატარა თავშესაფრების მოსაპირკეთებლად. ბიოპლასტიკების უახლესი ცოდნის წყალობით, იგი სამრეწველოდ კომპოსტირებადია.

ბა




## პოლიკარბონატი






სივრცითი მიმოხილვა - მარშრუტები და ბილიკები



საკროეფტო არქიტექტურული ინსტალაციები



# ტერიტორიის განვითარების პროგრამები

## ტურიტული ინფრასტრუქტურა

### ტრანსპორტი

სოფლისკენ და სოფლიდან გადაადგილება შესაძლებელია ფეხით და მანქანით. მოსახლეობას აქვს საკუთარი ავტოსადგომი, ხოლო სოფლის ცენტრში არის საერთო პარკინგი. სოფელს ემსახურება საზოგადოებრივი სამარშრუტო ტრანსპორტი (ავტობუსი, მიკროავტობუსი) და ტაქსი.

პარკში ტრანსპორტირება შესაძლებელი იქნება შემდეგი საშუალებებით:

- ფეხით (ყველა ადამიანისთვის)
- ცხენით (ვიზიტორებისთვის და რეინჯერებისთვის)
- მანქანით (მხოლოდ რეინჯერებისთვის და მომსახურე პერსონალისთვის)
- ველოსიპედით (ყველა ადამიანისთვის)
- მოტოციკლით და სხვა სპეციალური მოტორიზებული ტრანსპორტით (მხოლოდ რეინჯერებისთვის და მომსახურე პერსონალისთვის)
- საბაგირო გზით (ყველა ადამიანისთვის), დაგეგმილია გრძელვადიან პერსპექტივაში.

შინაური ცხოველების, მაგალითად, ძროხების ტრანსპორტირება შესაძლებელი იქნება დაპროექტებული მარშრუტებით, მაგრამ მხოლოდ შეზღუდული რაოდენობით - არა ყველა ადგილას.

### სოფელი

- თავშესაფრები ვიზიტორებისთვის (წვიმის, ქარიშხლის, ქარის დროს)
- ბილიკები ცხენებისთვის, ძროხებისთვის და სხვა ცხოველებისთვის
- თავლა ცხენებისთვის (ტევადობა განიხილება შემდგომ ეტაპზე)


• ავტოსადგომი სოფლის ცენტრის სადგურთან 2 დიდი ზომის ავტობუსისთვის და 5 მიკროავტობუსისთვის, ასევე 10-15 მსუბუქი ავტომობილისთვის (გარდა ამისა, ინვალიდებისთვის პრიორიტეტული პარკირებისა და სერვისისა და სასწრაფო დახმარების მანქანებისთვის გამოყოფილი თავისუფალი ადგილი)

### პარკი (განვითარების ფაზა 1)

- თავშესაფრები ვიზიტორებისთვის (წვიმის, ქარიშხლის, ქარის დროს)
- თავლა ცხენებისთვის (ტევადობა განიხილება შემდგომ ეტაპზე)
- ცხენების ან სხვა ცხოველებისთვის წყლის დასაღვევი საშუალებები

### პარკი (განვითარების ფაზა 2)

- საბაგირო ქვედა სადგურის პროექტირება და მშენებლობა;
- დამატებითი ავტოსადგომი საბაგიროს ქვედა სადგურთან 5 დიდი ზომის ავტობუსისთვის და 15 მიკროავტობუსისთვის, ასევე 30-45 მსუბუქი ავტომობილისთვის ( გარდა ამისა, ინვალიდებისთვის პრიორიტეტული პარკირებისა და სერვისისა და სასწრაფო დახმარების მანქანებისთვის გამოყოფილი უფასო ტერიტორია)
- საბაგიროსთვის დამატებითი სერვისული გზების ან ბილიკების პროექტირება და მშენებლობა წარმოადგენს მშენებლობას, ექსპლუატაციას და მოვლას.





# ტერიტორიის განვითარების პროგრამები

## I. ავტობუსი ვიზიტორთა ცენტრში

### რუკების შედგენა - კოტენციური მდებარეობები



#### დასაბუთება

ვიზიტორთა ცენტრის ადგილმდებარეობას ასევე განსაზღვრავს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა. ამჟამად მუნიციპალური ავტობუსი გადის ბათუმის ცენტრიდან (წერეთლის ქუჩა) - ორთაბათუმის ცენტრამდე ყოველ 1 საათსა და 40 წუთში. მგზავრობის დრო დაახლოებით 35 წუთია.

ავტობუსების განრიგი უნდა გაიზარდოს, სეზონის შესაბამისად, რათა ვიზიტორებმა შეძლონ ავტობუსით მისვლა. ასევე რეკომენდირებულია იყოს მინიმუმ ერთი ძალიან ადრე და ძალიან გვიანი რეისი, რათა გრძელ მანძილზე მოლაშქრეებმა შეძლონ ადრე გამგზავრება და გვიან დაბრუნება.

ტურისტებისთვის სასურველი იქნებოდა უფრო რეგულარული, საათობრივი რეისები.

#### მდებარეობა

ამჟამინდელ ავტობუსის გაჩერებაზე (მომავალი ვიზიტორთა ცენტრი).

ახლანდელი, ოდნავ დანგრეული მდგომარეობა ფაქტობრივად მიმზიდველია და არ საჭიროებს ზედმეტად გარემონტებას

ავტობუსის მოლოდინი სასიამოვნო გარემოსთან ერთად

ამის განხორციელება შესაძლებელია მდინარის გვერდით კაფესთან ერთად. ავტობუსის გაჩერებასა და კაფეს შორის უნდა იყოს სასიამოვნო ვიზუალური კავშირი

#### საჭირო ინვესტიცია:

• მოლაპარაკებები მუნიციპალურ სატრანსპორტო კომპანიასთან ავტობუსების განრიგის კორექტირებისთვის

• ავტობუსის გაჩერების ძირითადი განმედა და ჰიდროიზოლაცია. საფუძვლიანი რემონტი არ არის საჭირო, რათა შენაჩუნებული იყოს ისტორიული იერსახე.

#### მიღებული შედეგები:

• უკეთესი წვდომა ინდივიდუალური, არამოტორიზებული ვიზიტორებისთვის

• უკეთესი წვდომა საზოგადოებისთვის

• პარკირების ნაკლები საჭიროება

• ბუნებრივი შეხების წერტილი ვიზიტორებთან

• გასტრონომიული შეთავაზების შესაძლებლობა

• საზოგადოებრივი ტრანსპორტი ეკოტურისტული >>ბრენდის მხარდაჭერის ღირებულებების შესაბამისად

#### რისკები:


• ძალიან ცოტა მოგზაური (>> განრიგის თანდათან გაზრდა)



# ტერიტორიის განვითარების პროგრამები

## II. პარკინგები

### რუკების შედგენა - კოტენციური მდებარეობები



#### დასაბუთება

ვიზიტორთა დაახლოებით 50% მაინც მანქანით ჩამოვა. განსაკუთრებით ოჯახებით მოგზაურები და ფუფუნების მაძიებლები. ასევე რეგიონის ადგილობრივ მოსახლეობას არ ექნება პირდაპირი წვდომა ავტობუსის მთავარ ხაზზე.

დღეში მაქსიმუმ 1000 ვიზიტორის შემთხვევაში, ჩვენ გირჩევთ 300-მდე პარკინგის ადგილის უზრუნველყოფას. ისინი ძირითადად უნდა განთავსდეს ორთაბათუმში, ვიზიტორთა ცენტრთან ახლოს, რათა შემცირდეს საგზაო მოძრაობა სოფელში, უნდა შევთავაზოთ მომსახურების პუნქტები და შემცირდეს სოფელში სივრცითი მოთხოვნა.

მიუხედავად ამისა, მცირე ზომის პარკინგი (5-10 ადგილი) უნდა იყოს მოწყობილი ბილიკების მისასვლელ ნერტილებთან ახლოს. ძირითადი მომხმარებლები იქნებიან ადგილობრივი მაცხოვრებლები და არა სეზონური ვიზიტორები.

#### მდებარეობა 1:

ვიზიტორთა ცენტრი ორთაბათუმში

#### მდებარეობა 2-5:

ბილიკის საწყისებთან ახლოს

#### დამატებითი აღვილები:

სასტუმრო სახლებსა და რესტორნებს მოეთხოვებათ უზრუნველყოთ პარკინგი მათ ტერიტორიაზე



#### საჭირო ინვესტიცია

- შესაბამისი ქონება
- ნასყიდობის ან იჯარის ხელშეკრულებები
- რელიეფის გასწორება (შესაძლოა საყრდენი კედლების ჩათვლით)
- კარგი დრენაჟი, გამტარი ზედაპირი (ასფალტის გარეშე!)
- შესაძლოა ჭიშკრები და ზედამხედველობის ჯიხურები

#### მიღებული შედეგები:

- ნაკლები პარკირება სოფელში
- სოფელში ნაკლები მოძრაობა ხეობაში ცენტრალური პარკირების გამო
- მკაფიო შეხების ნერტილი ვიზიტორებთან
- ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობა (ვიზიტორთა ცენტრი/ბილიკების მიმოხილვა, მოთხრობა)
- შესაძლო შემოსავლის გამომუშავება

#### რისკები:

- გადაჭარბებული ფასი, რომელიც გამოიწვევს დანიშნულ ტერიტორიებს გარეთ პარკირებას
- ხეობის პარკირების „გამოტოვება“ რაც გამოიწვევს ზემო სოფელში პარკირების ბევრ შემთხვევებს (>> საჭიროებს მართვას და/ან საინფორმაციო სისტემას)



# ტერიტორიის განვითარების პროგრამები

## III. განახლებული გზა მტირალას მთამდე

### რუკების შედგენა - კოტენციური მდებარეობები



#### დასაბუთება

ძველი საბჭოთა ბაზისკენ მიმავალი გზა მოუასფალტებელია და ნალექის შემდეგ სწრაფად იშლება. ამჟამად ის ხელმისაწვდომია მხოლოდ მძიმე რელიეფის 4x4 მანქანებით და ძალიან დაბალი სიჩქარით. იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს ამ ობიექტებამდე მისვლა, რეკომენდებულია გზის განახლება, რათა ჩვეულებრივმა მანქანებმაც შეძლონ მოძრაობა, მაგრამ ეს გზა უნდა დარჩეს დაუასფალტებელი. ეს მოითხოვს კარგ დეტალებს და განსაკუთრებით კარგ დრენაჟს გზის ზედაპირზე და მის გარშემო.

საგზაო მოძრაობა უნდა შემოიფარგლოს მაქსიმუმ 5-10 მანქანით დღეში, რადგან გზა არის ერთადერთი მარშრუტი უახლოეს მომავალში და მას ასევე იყენებენ მოლაშქრეები ველოსიპედისტები და ცხენოსნები.

რეკომენდირებულია პარალელური ცალმხრივი ბილიკების მოწყობა იმავე დანიშნულებით, როდესაც გაიზრდება ვიზიტორების რაოდენობა.

#### მდებარეობა

მარშრუტი ყოროლისთავის პარკის შესასვლელიდან ყოფილ საბჭოთა ბაზამდე.

#### საჭირო ინვესტიცია

სადრენაჟო სისტემის შექმნა

გზის გასწორება

მოვლა

#### მიღებული შედეგები:

მომავალი ბანაკი და საბჭოთა ბაზა ხელმისაწვდომია 30 წუთის სავალზე

ხელმისაწვდომია მხოლოდ პერსონალისთვის და 2-3 მიმოსვლა დღეში.

#### რისკები:

არასათანადო დეტალიზაცია

არასაკმარისი მოვლა

მენყერი



# ტერიტორიის განვითარების პროგრამები

## IV. საბაგრო

### რუკის შედგენა - კოტინციური მდებარეობები



78: უსახურო საბაგრო, ლუცერნი, შვეიცარია



79: გუდაურის საბაგრო, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი,

REFERENCE	YEAR	DIS-TANCE	COST	TICKET
Gudauri Cable car, Stepantsminda	2019	7.5 km	30 M USD	20 GEL one-way

### დასაბუთება

როგორც სატრანსპორტო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პირდაპირ წვდომას მთიანეთს მწვერვალზე, საბაგრო გზა არის ეფექტური გადაწყვეტილება, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის შიდა პარკის ზონის ხელმისაწვდომობა. ტრანსპორტირება არის ტურისტული ღირებულების მთავარი ასპექტი. ეს შექმნის ბიზნეს შესაძლებლობებს.

როგორც თავისთავად ტურისტული ატრაქციონი, საბაგრო გზა ერთდროულად შემატებს პირდაპირ ღირებულებას ამ პროექტს, რაც უზრუნველყოფს დასვენების სერვისს.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ძლიერ არის დაინტერესებული ამ ინტერვენციებით, MNP-ის შენეკმენტი და ამ ანგარიშის სხვა ავტორები კვლავ კრიტიკულები არიან. შესწავლილია მიზანშეწონილობა და თავსებადობა ეროვნული პარკის მიზნებთან და იუნესკოს რეგულაციებთან.

### მდებარეობა

სოფელი ყოროლისთავი მთიანეთს მწვერვალზე 4,9 კმ სიმაღლე 1167 მ

### საჭირო ინვესტიცია:

მნიშვნელოვანი ფინანსური ინვესტიცია

მძიმე მშენებლობა და ცუდი ტერიტორიის საზღვრებში

### მიღებული შედეგები:

გაზრდილი ხელმისაწვდომობა 4 სეზონის განმავლობაში.

ადგილობრივი საზოგადოებისთვის დასაქმების შესაძლებლობები

### რისკები:

უხეში ჩარევა პარკის საზღვრებში, პოტენციური საფრთხე ველური ბუნებისა და ბიომრავალფეროვნებისთვის


მაღალი სამშენებლო და ტექნიკური ხარჯები, პოტენციური საინვესტიციო რისკი

ენინააღმდეგება NP რეგულაციებს

# 1 ტერიტორიის განვითარების პროგრამები

## V. ადგილი კემპინგისთვის და თავშესაფრები

### რუკების შედგენა - კოტენციური მდებარეობები



#### დასაბუთება

ძირითადი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა ტურისტებისთვის, რომლებიც მიდიან ლაშქრობაში დიდი ხნით, იქნება ეს ნახევარდღიანი ლაშქრობა თუ 3 დღიანი ლაშქრობა, თავშესაფრები აუცილებელია ვიზიტორთა საუკეთესო გამოცდილების უზრუნველსაყოფად.

განსაკუთრებით მტირალას წვიმიან კლიმატში, მსუბუქი თავშესაფრის ნაგებობებს შეუძლიათ შესთავაზონ მომხმარებლებს კომფორტული დასასვენებელი ადგილები, ასევე მიმზიდველი ადგილები განსაკუთრებით ღამაში გარემოთი.

თავშესაფრის აუცილებლობა მოიცავს, პირველ რიგში, თავშესაფარს და დასაცდომ და დასასვენებელ ადგილს. მაგრამ ისინი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას დამისთვისთვის და კომბინირებული იყოს სხვა ძირითად სერვისებთან, როგორცაა სამზარეულო, ტუალეტები ან რეინჯერის სათავსო.

#### მდებარეობა

თავშესაფრები უნდა იყოს განაწილებული პარკის მასშტაბით ბილიკების გასწვრივ და განთავსდეს სტრატეგიულ ადგილებში, როგორცაა ბილიკების კვეთა.



#### საჭირო ინვესტიცია

- მინიმალური შენობის დიზაინი და მშენებლობა
- რეგულარული მოვლა
- კომუნიკაციის საშუალებები და გზამკვლელები მომხმარებლებისათვის

#### მოსალოდნელი შედეგები:

- გაზრდილი მიმზიდველობა პარკში ხანგრძლივი ყოფნისთვის
- შესვლის ან გამოყენების შესაძლო გადასახადი

#### რისკები:


სწრაფი გაფუჭება მოვლის არარსებობის შემთხვევაში





VI. მომსახურებელი ბანაკი

რუკების შედგენა - კოტენციური მდებარეობები



**დასაბუთება**

მას შემდეგ, რაც ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა, ბანაკი აღჭურვილი უნდა იყოს უკეთესი სერვისებით. ეს გულისხმობს საშხაპებს, სველი წერტილებს, სამრეცხაოს, ასევე დახურულ მისაღებ ოთახს, სათამაშო მოედნებს და ა.შ.

იმის გამო, რომ მომსახურე ბანაკს სჭირდება მუდმივი პერსონალი, ის ასევე გვადლევს შესაძლებლობას გამგლეღ სტუმრებს შევთვაზოტ საკვები. ეს გაზრდის მომგებიანობას და ორივე ფუნქციის უფრო მაღალ სტანდარტებს.

**მდებარეობა**

ბანაკში (მუდმივი)



**საჭირო ინვესტიცია:**

კერძო ფინანსური ინვესტიცია  
 კარგი კოორდინაცია პარკის მენეჯმენტთან  
 ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა (წყალი, კანალიზაცია, ელექტროენერგია) - თუ არ არის დაფუძნებული თვითკმარ მოედლებზე  
 საიშედო მენეჯმენტი

**მოსალოდნელი შედეგები:**

გაზრდილი მიმზიდველობა პარკში ხანგრძლივი ყოფნისთვის  
 შემოსავალი  
 დაბალი დონის მოგზაურობის პოპულარობა

**რისკები:**


ბაზრის სეზონურობა

\*არქიტექტურული დიზაინი დანართში



**VII. გლამპინგი/არაკვებულბრივიეკოლოგიური სახლები 'GLAMPING'**

რუკების შედგენა - კოტენციური მდებარეობები



**დასაბუთება**

გლამპინგი არის კემპინგის ფორმა, რომელიც მოიცავს საცხოვრებელს და უფრო მდიდრულ ობიექტებს, ვიდრე ტრადიციული კემპინგი.

მიუხედავად იმისა, რომ მოითხოვს უფრო მნიშვნელოვან ინვესტიციებს და ინფრასტრუქტურას, ვიდრე ტრადიციული კემპინგი, გლამპინგური სტილის ბიზნეს მოდელები მოიზიდავს მეტ შემოსავალს დაცულ ტერიტორიაზე, ხოლო გარემოზე ექნება შედარებით დაბალი ზემოქმედება.

**მდებარეობა**

ყოფილ წყალსაცავთან / მწვანე ტბასთან



80: Projekt-Kodu, Retreat & Eco-Hostel



82: Shelters by the sea, Denmark



81: Les Cabanes de Rensiwez, Treehouses

**საჭირო ინვესტიცია:**

- კერძო ფინანსური ინვესტიცია
- კარგი კოორდინაცია პარკის მენეჯმენტთან
- ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა (წყალი, კანალიზაცია, ელექტროენერგია) - თუ არ არის დაფუძნებული თვითკმარი მოდელზე
- ფრთხილად დინამი და მიზნობრივი მარკეტინგული კონცეფცია

საიმედო მენეჯმენტი

**მოსალოდნელი შედეგები:**


- გაზრდილი მიმზიდველობა პარკის შიგნით ღამისთევისთვის
- სასიამოვნო ტურისტული გამოცდილება და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება
- მოიზიდავს შესაბამის აუდიტორიას ეკოტურიზმის სერვისებისთვის

**რისკები**

- ალინიშნება სეზონურობა
- გათვლილია ვინრო სამიზნე ჯგუფზე



## VIII. მაღალი დონის კურორტი რუკების შედგენა - კოტენციური მდებარეობები



### დასაბუთება

ის სერვისები, რასაც ბათუმის სტუმართომოყვარეობა სთავაზობს ტურისტებს შესაძლებელია უფრო გავამდიდროთ და მრავალფეროვანი გავხადოთ დახვეწილი სტილის შეთავაზებით. ზომიერი და სუბტროპიკული კლიმატი და მდიდარი მცენარეულობა იძლევა ტროპიკული ტყეების მსგავს შეგრძნებას, რაც შეიძლება შევადაროთ #1 დაანიშნულების ადგილებს, როგორცაა ბალი ან ეკვადორი.

„Mashpi Lodge არის ტროპიკული ტყის სასტუმრო ღრუბლებში. იგი ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ბუნების კურორტად, ეს ნამდვილად ყველა ბუნების მოყვარულის ოცნებაა. ეს მდიდრული ეკვადორის ტროპიკული ტყის სახლი მდებარეობს მაშპის ნაკრძალში. ეს 2500 ჰექტარი კერძო ნაკრძალი სავსეა ჯადოსნური ნედლი გარემოთი, რომელიც შედგება 70% აყვავებული და მდიდარი გამზვანებისაგან. გამოიკვლიეთ გასაოცარი ბიომრავალფეროვნება, განიცადეთ წარმოუდგენელი ფლორა და ფაუნა და შეხვდით

400 სხვადასხვა სახეობის ხეებს, ფრინველებსა და ბაყაყებს, რომლებიც მსოფლიოში სხვაგან ვერსად შეხვდებით. ამ ყველაფრის გარდა, Mashpi Lodge ღრმად თანამშრომლობს ადგილობრივ საზოგადოებასთან და თავისი ხალხი ჰყავს რასაც აკეთებენ ყველაფერში ჩართული.“

### მდებარეობა:

ეროვნული პარკის შესასვლელი ყოროლისთავში შესადარებელი ადგილები ყოროლისთავში

ვინაიდან ადგილები არ არის ეროვნული პარკის საზღვრებში, ისინი არ ექვემდებარებიან მის რეგულაციებს. თუმცა მასთან სიახლოვე საშუალებას მისცემს მას ისარგებლოს ბიომრავალფეროვნებით და რეკრეაციული სარგებლით.

ექსკლუზიურობის აურის შესაქმნელად და უმაღლესი ხარისხის სტანდარტების უზრუნველსაყოფად მხოლოდ ერთი ლიცენზია უნდა გაიცეს მთელ ყოროლისთავში.



85: mashpilodge.com



83: ამანკილა, ბალი



84: ხედი ყოროლისთავიდან

### საკირო ინვესტიცია:

მნიშვნელოვანი ფინანსური ინვესტიცია

მძიმე ნაგებობა დაცული ტერიტორიის საზღვრებთან ახლოს

სასტუმროს გამოცდილი ხელმძღვანელი

განვრთნილი პერსონალი

### მოსალოდნელი შედეგები:

გაზრდილი მიმზიდველობა მთელი წლის განმავლობაში, სეზონურადა

ადგილობრივი საზოგადოებისთვის დასაქმების შესაძლებლობები

ძვირადღირებული ტურისტების მოზიდვა

ადგილობრივი პროდუქტებისა და სერვისების პოტენციური ინტეგრაცია და პოპულარიზაცია

დამატებითი ერთ-დღიანი მოგზაურობა სადილისთვის და/ან გამაჯანსაღებლად

### რისკები:

ადგილობრივ ეკონომიკასთან გათიშვა

საინვესტიციო რისკი

**IX. საკვების და სასმელების მომსახურება**

**რუკების შედგენა - კოტენციური მდებარეობები**



**დასაბუთება**

საკვები და სასმელი ან გასტრონომიული შეთავაზებები არის მთავარი შესაძლებლობა ადგილობრივი ბიზნესის პოპულარიზაციისთვის და საზოგადოებისთვის შემოსავლისა და დასაქმების შესაქმნელად.

იმის გამო, რომ მათი დაწყება მარტივია, მათ ასევე აქვთ დიდი რაოდენობით დაბალი ხარისხის ხელმისაწვდომობის რისკი.

ჩვენ ვთავაზობთ ეტაპობრივად შექმნას F&B შეთავაზება, დაწყებული დროებითი კვების მანქანებით, რომლებიც შეიძლება მოემსახურონ სტუმრებს პიკის საათებში, როგორცაა ფესტივალები და შაბათ-კვირა, მას შემდეგ, რაც ვიზიტორთა რიცხვი გაიზრდება და უფრო სტაბილური გახდება, შეიძლება განვიხილოთ მუდმივი ღონისძიებები მაგალითად, ბანაკთან ან მუზეუმთან ერთად.

**მდებარეობა 1:**

ძირითადი გზების გასწვრივ პარკის შესასვლელამდე და ბათუმიდან

**მდებარეობა 2:**

ყოფილ საბჭოთა ბაზაზე (დროებითი)

ბანაკში (მუდმივი)

**მდებარეობა 3:**

ვიზიტორთა ცენტრში



86: სამზარეულო ბორბლებზე



87: გზისპირა დახლები ადგილობრივი პროდუქტით



88: პიკნიკი ადგილობრივი პროდუქტით

**საჭირო ინვესტიცია:**

- მცირე ინვესტიცია
- მცირე ჩარევა
- დიზაინი და მსუბუქი კონსტრუქცია
- ადგილობრივ ფერმერებთან თანამშრომლობა
- პოპულარიზაცია სოციალური მედიის საშუალებით

**მოსალოდნელი შედეგები:**


- ადგილობრივი პროდუქტების პოპულარიზაცია
- ადგილობრივი ფერმერების მხარდაჭერა
- დასაქმება და შემოსავალი ადგილობრივი საზოგადოებისთვის

**რისკები:**

ჭარბმა მიწოდებამ და ზედმეტმა კონკურენციამ შეიძლება გამოიწვიოს ზღვრული შემოსავალი და დაბალი ხარისხის შეთავაზება - გასათვალისწინებელია შეზღუდვა ლიცენზირების გზით.

# ტერიტორიის განვითარების პროგრამები

## X. ბილიკების ძსელი



### დასაბუთება

მტირალას ეროვნული პარკის ბილიკების ქსელი ამჟამად ძალიან შეზღუდულია, მაგრამ კორლისთავიოდან (ქედამდე და ჩაქვისთავამდე) ორი საქალაქთაშორისო ბილიკის მშენებლობა მიმდინარეობს.

ჩვენ ვთავაზობთ რამდენიმე დამატებითი, მოკლე ბილიკის დამატებას, რომელიც იწყება თავად სოფელში. ეს ქმნის უფრო ხელმისაწვდომ შეთავაზებას უფრო მრავალფეროვანი სამიზნე ჯგუფისთვის (ოჯახები, ადგილობრივები, ნაკლებად აქტიური ვიზიტორები) და უკეთეს კავშირს იძლევა ადგილობრივ გასტრონომიულ შეთავაზებებთან.

იმის გამო, რომ გამოვლენილი ბილიკები მხოლოდ ნაწილობრივ ეხება ეროვნულ პარკს, ისინი ასევე ნაკლებად რეგულირდება.

კატეგორიულად მიზანშეწონილია დაიცვან ეს რეგულაციები, თუმცა იმისათვის, რომ შეძლოთ საზღვრების დაბინდვა და პარკის რეპუტაციისგან მოგება.



# ტერიტორიის განვითარების პროგრამები შემეცნებით-სათავგადასავლო მარშრუტი - კოლხური ტყის შრეები

## მარშრუტის ზოგადი პარამეტრები

მარშრუტის დასახელება: კოლხური ტყის შრეები

მარშრუტის ტიპი: შემეცნებით-სათავგადასავლო

სირთულის კატეგორია: მარტივი

მარშრუტის სიგრძე: 1.5 კმ

სიმაღლეები ზღვის დონიდან (უმაღლესი/უდაბლესი): 216/151

მიღწევადობა: მარშრუტი იწყება სოფელ ყოროლისთავის მთავარი საავტომობილო გზიდან

მარშრუტის მდებარეობა მტირალას ეროვნული პარკის მიმართ: მარშრუტი სრულდება მტირალას ეროვნული პარკის საზღვართან;

საჭირო ინფრასტრუქტურა: მარშრუტის დასაწყისში საინფორმაციო დაფა, მანიშნებელი დაფები, მცირე საფეხმავლო ხიდეები, საინტერპრეტაციო დაფები, პანორამული გადასახედი, საპიკნიკე სივრცე, ხეზე საცოცი ინფრასტრუქტურა;

საკუთრების საკითხი: მარშრუტი სრულად სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფ ტერიტორიაზე გადის. საწყისი ნაწილი, რომელიც სოფლის საავტომობილო გზას მიუყვება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაა, ხოლო ტყის ტერიტორიის ნაწილი, სადაც მარშრუტის ძირითადი ტურისტული რესურსებია თავმოყრილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე (საკადასტრო კოდი: 22.22.05.029)



# ტერიტორიის განვითარების პროგრამები

სალაშქრო მარშრუტი - მტირალას მთის და სოფელ ყოროლისთავის წრიული ბილიკი

## მარშრუტის ზოგადი პარამეტრები

მარშრუტის დასახელება: მტირალას მთისა და სოფელ ყოროლისთავის წრიული ბილიკი

მარშრუტის ტიპი: სალაშქრო ბილიკი

სირთულის კატეგორია: საშუალო

მარშრუტის სიგრძე: 3 კმ


სიმაღლეები ზღვის დონიდან (უმაღლესი/უდაბლესი): 539/308

მიღწევადობა: მარშრუტი იწყება სოფელ ყოროლისთავში, დასაწყისამდე მიდის კუთილმონყობილი გზა

მარშრუტის მდებარეობა მტირალას ეროვნული პარკის მიმართ: მარშრუტის თითქმის ნახევარი გადის მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, ვიზიტორთა ზონაში.

საჭირო ინფრასტრუქტურა: მარშრუტის დასაწყისში საინფორმაციო დაფა, მანიშნებელი დაფები, ბილიკის განმედიისა და გაჭრის სამუშაოები.

საკუთრების საკითხი: იმის მიუხედავად, რომ ამჟამინდელი მდგომარეობით მარშრუტზე მოსახვედრად საჭიროა კერძო მოსახლის ეზოში შესვლა, საკადასტრო მონაცემები გვაჩვენებს, რომ მარშრუტი სრულად სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიაზე გადის, ნაწილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ნაწილი კი დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიაზე.



# ტერიტორიის განვითარების პროგრამები

## ინტეგრირებული მარშრუტი - კაკლის და ნაბლის შემგროვებელთა ბილიკი

### მარშრუტის ზოგადი პარამეტრები

მარშრუტის დასახელება: კაკლის და ნაბლის შემგროვებელთა გზა

მარშრუტის ტიპი: ინტერპრეტირებული ტურისტული მარშრუტი

სირთულის კატეგორია: მარტივი

მარშრუტის სიგრძე: 1.7 კმ


სიმაღლეები ზღვის დონიდან (უმაღლესი/უდაბლესი): 132/96

მიღწევადობა: მარშრუტი იწყება ორთაბათუმის პოტენციური საპარკინგე ადგილიდან;

მარშრუტის მდებარეობა მტირალას ეროვნული პარკის მიმართ: მარშრუტი სრულდება მტირალას ეროვნული პარკის საზღვართან;

საჭირო ინფრასტრუქტურა: მარშრუტის დასაწყისში საინფორმაციო დაფა, მანიშნებელი დაფები, საინტერპრეტაციო დაფები, საპიკნიკე სივრცე;

საკუთრების საკითხი: მარშრუტი სრულად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფ ტერიტორიაზე გადის.



# ტერიტორიის განვითარების პროგრამები ღამის სალაშქრო მარშრუტი - ნისლიანი ტყის ღამის თავგადასავალი

## მარშრუტის ზოგადი პარამეტრები

მარშრუტის დასახელება: ნისლიანი ტყის ღამის თავგადასავალი

მარშრუტის ტიპი: ღამის სალაშქრო ბილიკი, შემეცნებით-სათავგადასავლო

სირთულის კატეგორია: საშუალო

მარშრუტის სიგრძე: 3.3 კმ

სიმაღლეები ზღვის დონიდან (უმაღლესი/უდაბლესი): 653/411

მიღწევადობა: მარშრუტი იწყება სოფელ ყოროლისთავში, ეროვნული პარკის აშუამინდელი შესასვლელიდან 1 კმ

მარშრუტის მდებარეობა მტირალას ეროვნული პარკის მიმართ: მარშრუტის ნახევარი გადის მტირალას ეროვნულ პარკში

საჭირო ინფრასტრუქტურა: მარშრუტის დასაწყისში საინფორმაციო დაფა

საკუთრების საკითხი: მარშრუტი გადის დაცული ტერიტორიების სააგენტოს და ხელგაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე



## XI. მარკირება და ინტერპრეტაცია



### დასაბუთება

ხელმოწერის დაფები უნდა აერთიანებდეს ბუნებრივ მასალებს თანამედროვე მასალებთან, რათა შეერწყას გარემოს და შეინარჩუნოს მაღალი ხილვადობა.

ახალი შემოთავაზებული ბილიკების შემთხვევაში, საჭირო იქნება მხოლოდ მარშრუტის დასაწყისში საინფორმაციო დაფის დაყენება, სადაც იქნება ინფორმაცია მარშრუტის აღწერილობის, მისი ძირითადი ღირებულებისა და უსაფრთხოების წესების შესახებ.

ბილიკების გასწვრივ გაგრძელება ნიშნები. ინტერპრეტაციის დაფებს შეუძლიათ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება ინტერაქტიული გზით (მაგ. ვიქტორინები ბავშვებისთვის).

მნახველები სულ უფრო ხშირად იყენებენ ციფრულ აპებს მათ სახელმძღვანელებლად, როგორცაა komoot.com ან strava.com. ეს ბაზისური მარშრუტებია OpenStreet Maps-ზე. ამიტომ მკაცრად რეკომენდირებულია აქ ბილიკების გამოკვება. ასევე შეიძლება დაემატოს ინტერპრეტაციული ინფორმაცია.

### მდებარეობა 1:

დასაწყისში და რეგულარული ინტერვალებით შემოთავაზებული ბილიკების გასწვრივ. დაწყებული სოფელ ყოროლისთავიდან. მიმართულებები მანძილით და დანიშნულებით გადასასვლელებზე და ჩანგალებზე.

### მდებარეობა 2:

ინტერპრეტაცია ბილიკების დასაწყისში და ბუნებრივ ან კულტურულ ფასეულობებზე, ონლაინ

მნიშვნელოვანია ბილიკისა და ინტერპრეტაციის ინფორმაციის მიწოდება ღია ქუჩის რუქებში

### საჭირო ინვესტიცია:

მცირე ინვესტიცია  
 მცირე ჩარევა  
 დიზაინი და მსუბუქი კონსტრუქცია  
 ადგილობრივ ხელოსნობასთან თანამშრომლობა  
 პოპულარიზაცია სოციალური მედიის საშუალებით

### მოსალოდნელი შედეგები

ახალი ბილიკების პოპულარიზაცია საგანმანათლებლო, ინტერაქტიული და უფრო ხელმისაწვდომი ბილიკები ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა გაზარდეთ მიზიდულობის წერტილები გამოცდილება, რომელიც შეიძლება გაზიაროს სოციალურ მედიაში (ინსტაგრამის მომენტები)

### რისკები:

მასალის დაზიანება ამინდის პირობების, დაბალი მოვლის ან ვანდალიზმის გამო

## XII. სამთო-ველო ბილიკი

### არსებული მდგომარეობა

ყველას დონის ველომეყვარულთათვის სამთო-ველო ბილიკების განვითარებამ და ელექტრო ველოსიპედების ხელმისაწვდომობამ, ხელი შეუწყო სამთო-ველო სპორტის განვითარებას. სამთო ველოსიპედით მოგზაურთა მსოფლიო ბაზარი საკმაოდ მზარდა და სხვადასხვა გათვლებით იგი 2027 წლისთვის 78,5 მილიონ ტურისტს მიაღწევს, რომლის საშუალო წლიური ზრდა 9,6%-ით არის ნავარაუდები.

სამთო-ველო მოგზაურები ტურისტულ ბიზნესში მნიშვნელოვანი სამიზნე სეგმენტია, მათ აქვთ მაღალგადახდის უნარიანობის პოტენციალი, რაზეც მეტყველებს მათი მარკეტინგული პროფილი: მათი საშუალო ასაკი აღემატება 40 წელს, აქვთ უმაღლესი განათლება, საშუალოზე მაღალი ხელფასი, გამოხატავენ სპორტულ აქტივობებში ინვესტიციების განხორციელების სურვილს. რაც შეეხება ელექტრო სამთო-ველოსიპედით მოგზაურებს, ისინი არიან შედარებით ხანდაზმულები და სიამოვნებაზე მეტად ორიენტირებულები, ამასთან, აქვთ მეტი დრო და უკეთესი ფინანსური შესაძლებლობები. სამთო-ველო ბილიკებით ასევე დაინტერესებული არიან შედარებით დაბალი შემოსავლის მქონე პირებიც, რომლებსაც იზიდავს თავგადასავალი ან ოჯახური მოგზაურობები.

ამრიგად სამთო-ველო ბილიკებში და მისი ქსელის განვითარებაში ინვესტიცია ითვლება მაღალ ეფექტურად, რადგან აქვს მრავალმხრივი ეფექტი: ბილიკების კარგი სისტემა იზიდავს სამთო-ველო მოგზაურებს, ხოლო მოგზაურობისას წარმოქმნილი მომსახურებების საჭიროება ხელს უწყობს ადგილზე სხვადასხვა ტურისტული სერვისის განვითარებას.

ქვემოთ მოყვანილი ილუსტრაცია აჩვენებს თუ რაოდენ ხელმისაწვდომია სოფელი კაპრეშუმი, სადაც სამგზავრო დრო მხოლოდ 1 სთ და 30 წუთია.



### ხარჯების შეფასება

ღირებულების შეფასებისთვის, აღებულ იქნა შვეიცარიული მონაცემები და გაყოფილი იქნა 5-ზე. ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ბილიკებზე ვიზიტი განხორციელდება ძირითადად საქართველოში არსებულ კომპანიებთან თანამშრომლობით.

Name	Difficulty	State	Length (m)	Realisation	Cost per m	Cost
Mount Mtirala access	easy	concept	6209	mid	30.00 CHF	186'270.00 CHF
Uhill peak	easy	concept	1833	short	15.00 CHF	27'495.00 CHF
Green west	easy	concept	5045	short	30.00 CHF	151'350.00 CHF
Green north	easy	concept	1353	short	30.00 CHF	40'590.00 CHF
Blue east	medium	concept	5508	short	30.00 CHF	165'240.00 CHF
Red east	challenging	concept	5285	mid	25.00 CHF	132'125.00 CHF
Descent Black Sea	medium	concept	6481	long	30.00 CHF	194'430.00 CHF
Cable Car		concept	5038			
Connection Cable car	easy	concept	2174	mid	20.00 CHF	43'480.00 CHF
Red Mid	medium	concept	3965	short	25.00 CHF	99'125.00 CHF
Black east	difficult	concept	4113	long	20.00 CHF	82'260.00 CHF
Blue west	medium	concept	2102	mid	25.00 CHF	52'550.00 CHF
Uphill Shuttle/E-bike	medium	concept	5773	mid	5.00 CHF	28'865.00 CHF
<b>TOTAL</b>			<b>54.879</b>	<b>km</b>		<b>1'203'780.00 CHF</b>

### ბენეფარკი

#### ლურჯი დერბი - ტასმანია

ლურჯი დერბი არის ძველი, მიტოვებული სამთო ქალაქი. მალაროს დატბორვის შემდგომ, ხმაურიანი ქალაქი მოჩვენებათა ქალაქად იქცა მნახველების გარეშე. 2015 წლის თებერვალს შედგა Blue Derby Trail Network-ის პირველი 20 კმ-ის ოფიციალური გაშვება. დერბის ფილოსოფია მარტივი იყო: „აშენე და მოვლენ“. და ისინი მოვიდნენ! ეს ადგილი ახლა იმდენად ცნობილია, რომ თითქმის ყველა სამთო-ველო მოგზაურს სურს იქ წასვლა ცხოვრებაში ერთხელ მაინც.

ადგილზე მიწის საფასური გაიზარდა ოთხჯერ. ველობილიკების ქსელი ყოველწლიურად 30000 ვიზიტორს იზიდავს, რომელთა 30% ლამისთევით რჩება ადგილზე. გარდა ამისა

ბილიკის ირგვლივ ვითარდება რესტორნების, განთავსების ობიექტების და ველოსიპედის მაღაზიების ქსელი. დათვლილია, რომ დანახარჯები ყოველ 10 მილიონ დოლარზე 30 მილიონიან შემოსავალს უდრის.



# ტერიტორიის განვითარების პროგრამები სამთო-ველო ბილიკი

## ფინალე-ლიგური - იტალია

ფინალე-ლიგურე წარმოადგენს იტალიურ სანაპირო ქალაქს, სადაც სამთო ვლოსიპედების ისტორია დაიწყო 30 წლის წინ, 90-იანი წლების ბოლოს.

მან დაიწყო საერთაშორისო პოპულარობის მოპოვება სამთო-ველო მოგზაურებს შორის, მას შემდგომ რაც აქ გაიმართა რამდენიმე საერთაშორისო ღონისძიება, მათ შორის, რედბულის და მსოფლიო სერიის ფინალური ეტაპები. აღნიშნული არეალი წელიწადში 300000 სამთო-ველო ვიზიტორს ითვლის, რის გამოც ქალაქის მთელი ეკონომიკის 1/3 სამთო-ველო ტურიზმზე მოდის.




## თვითის ხეობა - შოტლანდია

1980-იან წლებში შოტლანდიაში პირველად აშენდა სამთო-ველო მოგზაურთათვის სპეციალურად მოწყობილი ბილიკები. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად წვიმიანი ამინდია, თვითის ხეობა ძალიან ბევრ ვიზიტორს იზიდავს, მათი რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 400 000 ვიზიტორს შეადგენს.

80 კმ სიგრძის ბილიკები მხოლოდ 400 მ ვერტიკალური სხვაობით. ამჟამად საბაზისო ბანაკი, მომსახურების სივრცით დიდი სამთო კურორტების მასშტაბებს უახლოვდება და განაგრძობს ზრდას. მთლიანობაში ველოტურიზმი შოტლანდიაში ყოველწლიურად 7-10%-ით იზრდებოდა და 2015 წელს შემოსავალმა 105 მილიონ ფუნტი სტერლინგს მიაღწია, რომლის 50%-იანი ზრდა ნავარაუდებია 2025 წლისთვის.



ტერიტორიის განვითარების პროგრამები  
საბთო-ვალო ბილიკი



**Legend**

**POIs**

- View Point
- Accommodation
- Bikeshop/Services
- Gastronomy
- Parking
- Pumptrack
- Trails
- Transport Bus/Shuttle/Zug
- Transport Seilbahn/Funi
- USP
- Skill Area
- Trailhead

**Mountainbike-Trails + Infrastructure**

- Green trail
- Blue trail
- Red trail
- Black trail
- Links
- Shuttle / E-Bike


**Perimeter**

- Mountainbike core zone



# ტერიტორიის გუნვითარების პროგრამები

## სამთო-ველო ბილიკი



**Legend**

**POIs**

- View Point
- Accommodation
- Bikeshop/Services
- Gastronomy
- Parking
- Pumptrack
- Trails
- Transport Bus/Shuttle/Zug
- Transport Seilbahn/Funil
- USP
- Skill Area
- Trailhead


**Mountainbike-Trails + Infrastructure**

- Green trail
- Blue trail
- Red trail
- Black trail
- Links
- Shuttle / E-Bike

**Perimeter**

- Mountainbike core zone

**XIII. რეკრეაციული ტბა**



90: მწვანე ტბა, სა კიუ, ვიეტნამი



89: ჯემას ტბა, ვალბონე, ალბანეთი

**დასაბუთება**

ყოფილი საბჭოთა რეზერვუარი პარკის შიგნით გთავაზობთ მრავალფეროვან სარგებელს სეზონის განმავლობაში. ზაფხულში ის გთავაზობთ გამაგრილებელს მიმდებარე ბანაკში და საქალაქთაშორისო ლაშქრობებს. მაგრამ ასევე შემოდგომიდან გაზაფხულამდე მას აქვს მისტიკური და სიურეალისტური გამოცდილება. ზამთარში გასათვალისწინებელია ყინულის სრიალი. ჩვენ ვთავაზობთ კაშხლის განახლებას და ტბის შექმნას ეკოტურიზმის ახალ განვითარებასთან ერთად, შევქმნათ პროდუქტი, რომელიც გაზრდის ვიზიტორთა რაოდენობას პარკის შიგნით ხანგრძლივ, თუნდაც ღამისთევს შეთავაზებით და ისეთი სერვისების მიწოდებით, როგორცაა: კიოსკი ან რესტორანი.

**მდებარეობა:**

ყოფილი საბჭოთა წყალსაცავი

**საჭირო ინვესტიცია:**

- კაშხლის შეკეთება
- წყალსაცავის გათხრები
- მისასვლელი გარშრუბების შექმნა

**მოსალოდნელი შედეგები**

- ახალი ტურისტული ადგილი პარკში
- ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა
- გააფართოვებთ ტურისტული შეთავაზება


**რისკები:**

ტბის დაბინძურება უპასუხისმგებლო ტურისტების ან დაბალი მოვლის გამო

# ტერიტორიის განვითარების პროგრამები

## XIV. საკვების და სასმელების მომსახურება

### რუკების შედგენა - კომუნიკური მდებარეობები



93: ნვიმის გამაძლიერებელი, ანბეგეში, ბელგია



92: ლოლა, ჰოლტენ სპრინგსი



91: არტე სელას რებერვუარი-Ascesa-Rise, John Grade

### დასაბუთება

მტირალას ეროვნული პარკი დიდწილად ხასიათდება ხშირი, მიუწვდომელი ტყით. ეს ნიშნავს, რომ ნაკლებად თვალნარმტაცი ხედი ან სხვა ფუნქციები ასრულებენ დანიშნულების ადგილს.

მცირე არტ ინსტალაციები შეიძლება იყოს დანიშნულების ადგილი უფრო მოკლე მანძილზე მოლაშქრებისათვის, ან გასართობი ელემენტები უფრო გრძელ მანძილზე მოლაშქრებისთვის.

ისინი ასევე შეიძლება ემსახურობდეს დანიშნულებისადგილის პოპულარიზაციას სოციალურ მედიაში ვიზიტორების მიერ გაზიარებული ხარისხიანი ფოტოებით ან, მაგალითად, ფესტივალების, კონკურსების, ცნობილი მხატვრების ჩართულობით. ამან შეიძლება გამოიწვიოს მედიის ინტერესი როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

### მდებარეობა 1:

არსებული და ახალი ბილიკების გასწვრივ

### მდებარეობა 2:

მთის მწვერვალებთან ახლოს

### საჭირო ინვესტიცია:

მინიმალური ინვესტიცია

მინიმალური ჩარევა

მხატვრებთან თანამშრომლობა

პოპულარიზაცია სოციალური მედიის საშუალებით

მოვლა

### მოსალოდნელი შედეგები

ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა

მიზიდულობის გაზრდა

გამოცდილება, რომელიც შეიძლება გაზიარებული იყოს სოციალურ მედიაში (ინსტაგრამის მომენტები)

მედიის ყურადღება კონკურსებზე

ფესტივალის შესაძლო თემა

### რისკები:

არტ-ინსტალაციების გაფუჭება ამინდის პირობების ან დაბალი მოვლის გამო

ვანდალიზმი

## XII. საბჭოთა ბაზის ისტორიის ნიშანი

რუკების შედგენა - კოტეცხური მდებარეობები



### დასაბუთება

საბჭოთა ეპოქის ნანგრევები საკმაოდ ახალგაზრდაა, მაგრამ ისინი ძალიან გამორჩეულ და დამახასიათებელ ეპოქას წარმოადგენენ, განსაკუთრებით პოპულარულ კულტურაში, როგორცაა ჯეიმს ბონდის ფილმები. ეს გამოიწვევს სამიზნე ჯგუფში მოგონებებს, რომლებიც ახლა ძალიან საინტერესო ასაკის არიან, 40-იანი წლების შუა ხანებიდან მოყოლებული.

ამას ემატება ყოფილი სარადარო ბაზის სილაამბე, სრულყოფილი წრე, რომელიც უკავშირდება მოგონებებს "კომუნისტური სტრუქტურის შესახებ".

თავად ნანგრევები შთამბეჭდავია, მაგრამ უფრო შთამბეჭდავი გახდება ისეთი ინტერპრეტაციით, როგორცაა სიუჟეტის მოთხრობა და მაგალითად, „დაბალტექნოლოგიური ვირტუალური რეალობა (VR)“.

### მდებარეობა

მტირალას მწვერვალი / ყოფილი საბჭოთა ბაზა

ნანგრევების ირგვლივ

ნანგრევებისკენ მიმავალი გზა

### საჭირო ინვესტიცია:

ისტორიული კვლევა

მოთხრობა

გრაფიკული დიზაინი

ელემენტების დამზადება და განთავსება

### მოსალოდნელი შედეგები:

ტურისტული პროდუქტი და დანიშნულება

განათლება და (ახალგაზრდა) მემკვიდრეობის დაცვა

ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა

მიზიდულობის ადგილების ზრდა

გამოცდილება, რომელიც შეიძლება დაზიარდეს სოციალურ მედიაში (ინსტაგრამის მომენტები)

### რისკები:

მოსაწყენი ამბავი

ვანდალიზმი

### XIII. ინსტალაციები

რუკების შედგენა - კოტნესიური მდებარეობები



ვალტერ დე მარია, ელვის ველი



რობერტ სმიტსონი, სპირალური ჯეტი



ქრისტო და ჟან კლოდი, გარშემორტყმული კუნძულები (1983) ველის ფარდა (1972)

#### დასაბუთება

მტირალას მწვერვალი არ გვთავაზობს განსაკუთრებულ მახასიათებლებს, რომლებიც ღირს საში საათის ლაშქრობად.

მსოფლიოში ცნობილი ხელოვანის დიდი არტ-ინსტალაცია შეიძლება დახდეს დანიშნულების ადგილი და სასურველი სანახაობა უფრო გრძელ მანძილზე მოლაშქრეებისათვის.

ის ასევე შეიძლება ემსახუროდეს დანიშნულების ადგილის პოპულარიზაციას ვიზიტორთა ხარისხიანი ფოტოებით, რომელიც გაზიარებული იქნება სოციალურ მედიაში, ან მაგალითად, ფესტივალების, კონკურსების და ცნობილი მხატვრების ჩართულობის გზით.

ამან შეიძლება გამოიწვიოს მედიის ინტერესი როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

მხატვრული პროექტი შესაძლოა წვიმის თემასაც უკავშირდებოდეს.

#### მდებარეობა:

მტირალას მწვერვალი / ყოფილი საბჭოთა ბაზა

#### საჭირო ინვესტიცია

დიდი ინვესტიცია

საერთაშორისო კონკურსი

საინტერესო მხატვრები

მოვლა

#### მოსალოდნელი შედეგები:

ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა

მთავარი ატრაქციონი

გამოცდილება, რომელიც შეიძლება გაზიარდეს სოციალურ მედიაში (ინსტაგრამის საშუალებით)

მედიის ყურადღება

ფესტივალის შესაძლო თემა

შესაძლებელია საკმარისად დიდი ვიზიტორთა რიცხვი რესტორნის/კაფის აუცილებლობის გასამართლებლად.


#### რისკები:

არტ-ინსტალაციების გაფუჭება ამინდის პირობების ან დაბალი მოვლის გამო

ვანდალიზმი

## XIV. გასართობი ცენტრის მუზეუმი


რუკების შედგენა - კოტეჯური მდებარეობები



სანდერუმგარის პავილიონი, დანია



წვიმის ოთახი, ლონდონი



ნიდერლანდების პავილიონი ეხპო 2020 დუბაი

### დასაბუთება

Land Art-ის პროექტის მსგავსად, წვიმის მუზეუმი შეიძლება იყოს მთავარი მომხიბვლელობა ხანგრძლივი ლაშქრობების ან თუნდაც საბაგრო გზით მოგზაურობისათვის.

მუზეუმი დამოკიდებული იქნება ამინდზე და შეუძლია შესთავაზოს უფრო ხანგრძლივი მომსახურება (1-2 საათი)

მუზეუმს დასჭირდება დაკომპლექტება, მაგრამ თავის მხრივ მოგვცემს გასტრონომიული შეთავაზებების დამატების შესაძლებლობას.

ქართულ ენას აქვს წვიმის 64 სინონიმი, რომელიც შეიძლება იყოს თემატური ამოსავალი წერტილი. საკითხმა შეიძლება წყალი და ზოგადად წყლის ციკლი მოიცვას.

ის ასევე შეიძლება შერწყმული იყოს ჰერბარიუმთან.

### მდებარეობა:

მტირალას მწვერვალი / ყოფილი საბჭოთა ბაზა

ყოფილი წყალსაცავი / მწვანე ტბა

### საჭირო ინვესტიცია:

მნიშვნელოვანი ფინანსური ინვესტიცია

შენობის დიზაინი და მშენებლობა

სარეკლამო და საგანმანათლებლო კონტენტის წარმოება

პერსონალი

### მოსალოდნელი შედეგები:

გაზრდილი ხელმისაწვდომობა 4 სეზონის განმავლობაში.

ადგილობრივი საზოგადოების პოტენციური დასაქმება

განათლებისა და დასვენების ფუნქცია

მრავალფეროვანი ტურისტული შეთავაზება

წვიმა/წყალი, როგორც სასაქონლო პროდუქტი

### რისკები:


მაღალი სამშენებლო და ტექნიკური ხარჯები,

შესაძლო კონფლიქტი იუნესკოს რეგულაციებთან ეროვნული პარკის შესახებ

გადაჭარბებული ტურიზმი

**XV. სადამკვირვებლო კოშკი/ხეზე გასაიხილება**

რუკების შედგენა - კოტეჯური მდებარეობები



94: რუტა დელ პერეგრინოს გადმოსახედი, მექსიკა



96: ბოსტორენი, ნიდერლანდები



95: ვიტრა სლაიდ თაუერი, გერმანია



97: "ელასტიური პერსპექტივა", ნიდერლანდები

**დასაბუთება**

ხელოვნების პროექტების მსგავსად, პანორამის დასათვალიერებელი კოშკები შეიძლება იყოს დანიშნულების ადგილი და გასართობი.

გთავაზობთ მტირალას ეროვნული პარკის მწვერვალებზე განთავსებას. იმის გამო, რომ მცენარეული საფარი ძალიან მაღალია, მწვერვალები არ გვთავაზობენ პირდაპირ ღია ხედს და საჭიროა გარკვეული სამუშაოები, რათა მნახველები დატკბნენ ხედებით.

პანორამის დასათვალიერებელი კოშკები შეიძლება შეერწყას ტყის სხვადასხვა ფენებს (Bostoren, NL) ან გასართობ ასპექტებს. (Vitra, DE). სპეციალურ გეომეტრიას შეუძლია შესთავაზოს სახალისო ელემენტი ან „სელფის გადასაღები ადგილები“

**მდებარეობა:**

ახალი ბილიკების გასწვრივ მწვერვალებთან ახლოს

**საჭირო ინვესტიცია**

ფინანსური ინვესტიცია  
მინიმალური შენობის დიზაინი და მშენებლობა  
წლიური მოვლა

**მოსალოდნელი შედეგები:**


ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა  
მიზიდულობის წერტილების ზრდა

**რისკები:**

სტრუქტურის გაფუჭება ამინდის პირობების ან არასაკმარისი მოვლის გამო  
ვანდალიზმი

### XVI. სადამკვირვებლო კოშკი/ხეზე გასაღივება

რუკების შედგენა - კოტეჯური მდებარეობები



#### დასაბუთება

ვიზიტორთა ცენტრი ვიზიტორებისთვის პირველი ადგილია. ეს ეხმარება ვიზიტორს ორიენტირებაში, აწვდის მას სერვისებს და ინფორმაციას.

სტრატეგიულად განლაგებული ეროვნული პარკისკენ მიმავალ გზაზე, ვიზიტორთა ცენტრი ასევე იძლევა ვიზიტორთა ნაკადების გაკონტროლების საშუალებას. პარკინგის კარგ შეთავაზებას შეუძლია სოფლის აარიდოს საგზაო მოძრაობის ზეწოლა.

ვიზიტორთა კონცენტრაცია ერთ წერტილში ასევე ხდის ბიზნესს მომგებიანს, იძლევა მომსახურების შეთავაზების საშუალებას მთელი წლის განმავლობაში და მხარს უჭერს დამატებით შეთავაზებებს, როგორცაა ტანსაცმელი ან საქონელი.

#### მდებარეობა

ორთბათუმში

მარტივი წვდომა ბათუმიდან არსებული ინფრასტრუქტურით, ხელმისაწვდომი ფართი პარკინგისთვის

სოფლის მიმდებარე სტრუქტურას შეუძლია უზრუნველყოს კარგი დამხმარე ზონა

აქტივობისა და ინტერესიდან გამომდინარე, სტუმრების განაწილების შესაძლებლობა პარკის სხვადასხვა შესასვლელში

საბაგრო გზის შესაძლო საწყისი წერტილი

#### საჭირო ინვესტიცია:

- არსებული შენობის რემონტი
- მდინარის სანაპიროს დასუფთავება
- მცირე ტურისტული ბიზნესის უზრუნველყოფა
- სარეკლამო და საგანმანათლებლო კონტენტის წარმოება
- კადრების მომზადება

#### მოსალოდნელი შედეგები:

- ვიზიტორების ორიენტაცია
- პარკის აქტივობისა და ადგილობრივი სერვისების პოპულარიზაცია
- განათლების ფუნქცია
- კავშირი რეგიონს (ბათუმსა) და MNP-ს შორის
- ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობისთვის რჩევებისა და ხელმძღვანელობის გაცემის შესაძლებლობა
- მომხმარებელი დამატებითი სერვისებისთვის (ტანსაცმელი/ ტექნიკა/საქონელი)

#### რისკები:

- ყოროლისთაში ვიზიტორთა ცენტრალიზებული რაოდენობა
- მთავარ გზაზე MNP-ის შესასვლელთან საგზაო მოძრაობის ზრდა



# ტერიტორიის განვითარების პროგრამები

## 7.2. ეკოტურიზმის განვითარების პროგრამა

### პროგრამის აღწერა

ეკოტურიზმის განვითარების პროგრამა


საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგიის ხედვაა “

„2030 წლისათვის საქართველო იქნება წამყვანი, ეკოტურისტული ქვეყანა კავკასიის რეგიონში, რომელიც მისი მდიდარი ცოცხალი კულტურისა და ბუნების, აგრეთვე, მაღალი ხარისხის მომსახურების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ოთხივე სეზონის ეკოტურისტულ შეთავაზებებს. ეკოტურიზმში საქართველოში უზრუნველყოფს ტურისტებისთვის ავთენტური გამოცდილების გაზიარებას, სარგებელი მოაქვს ადგილობრივი თემებისთვის და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას; ამავე დროს, იგი უზრუნველყოფს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას ტურისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობაში“.

### პროგრამის მიზნები

ამ პროგრამის ძირითადი მიზნებია:

- შექმნას ფინანსური სარგებელი ადგილობრივი თემსა და კერძო სექტორისთვის და ამასთანავე დაუვიწყარი შთაბეჭდილებები, ინტერპრეტაციის მეშვეობით გაზარდოს ცნობადობა და პატივისცემა მასპინძლის კულტურის მიმართ
- შექმნა დადებითი ზეგავლენა და შთაბეჭდილებები როგორც სტუმრისთვის ასევე მასპინძლისთვის, აგრეთვე შეიქმნას პირდაპირი ფინანსური სარგებელი ადგილზე ბუნებისა და კულტურის კონსერვაცია/ აღდგენისათვის
- შეამციროს ტურიზმის სოციალური, ქცევითი, ფიზიკური და ფსიქოლოგიური უარყოფითი ზეგავლენა ტურისტულ ადგილზე, ამავდროულად აამაღლოს ცნობიერება ბუნებისა და კულტურის კონსერვაციისადმი და გაზარდოს პასუხისმგებლობა მათი შენარჩუნებისადმი
- დაგეგმოს, შექმნას და განავითაროს მინიმალური ზეგავლენის ინფრასტრუქტურა
- აღიაროს ადგილობრივი თემის უფლებრივი უპირატესობა და ნებისმიერი პროდუქტი განავითაროს მათთან შეთანხმებით.



# ტერიტორიის განვითარების პროგრამები

## ეკოტურიზმის განვითარების პროგრამა

ზემოთაღნიშნული ღირებულებების შესანარჩუნებლად და მიზნების მისაღწევად განვიხილავთ შემდეგ მოცემულობებს:

ეკოტურიზმს როგორც: „სოციალური და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მქონე მოგზაურობის ფორმების, არამოტორიზებული აქტივობებისა და სერვისების ერთობლიობა, რომელიც გვთავაზობს ბუნებისა და კულტურების ინტერპრეტაციასა და გამოცდილების მიღებას და კარგი მართვის პირობებში გარემოზე დაბალი ზემოქმედებით ხასიათდება. ეკოტურიზმი ხელს უწყობს მოგზაურთა მიერ ბუნების აღქმასა და შემეცნებას და, ამასთან, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საკუთარი ბუნებრივი და კულტურული ღირებულებების დაფასებას. ამრიგად, ეკოტურიზმი ხელს უწყობს ბუნების შენარჩუნებას, ეკოსისტემის სერვისების მდგრად გამოყენებას, აქვს რეგიონალური დამატებითი ღირებულება და ემსახურება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.“

გარემოს ეკოტურიზმში როგორც: ყველა ის მოვლენა და ღირებულება, ბუნებრივი და ანტროპოლოგიური რესურსები, ცოცხალი ტრადიციები და ტრადიციული ქცევა. მაგალითად 10 000 წლის წინანდელი ვულკანების მიერ შექმნილი ბუნებრივი ლანდშაფტი, რომლის მისადაგება მოხდა ადამიანის მიერ საცხოვრისად გამოყენებისთვის დიაქრონიული ტერიტორია და ადგილობრივი თემის მიერ საუკუნის შესაბამისად სინქრონულ ტერიტორიაში

საინტერპრეტაციო წერტილები:

- ბუნების მრავალფეროვნება, ფლორა და ფაუნა
  - კულტურულ მემკვიდრეობაში ასახული ბუნება და მისი მრავალფეროვნება
  - მრავალფეროვანი კულტურული ფენომენების სათავგადასავლო და ექსტრემალურ ტურიზმში ასახვა
  - ტრადიციული რეწვის წინ წამოწება
  - მეზობელი ქვეყნებისა და კულტურის ინტერაქცია, გადაკვეთის წერტილების ძიება
  - განსაკუთრებული კულინარიული მემკვიდრეობა
- პროდუქტის თემის საფუძველი და განვითარება
- მოკლე ისტორიები ადგილობრივი თემიდან დავინწყებული ლეგენდები და ამბები კონკრეტულ ადგილებთან დაკავშირებული ტრადიციები და ფესტივალები: სპირიტუალური, თეატრალური და ა.შ.
- დღეობები: ქორწილი, ბავშვის შექმნა, გასვენება და ა.შ.
- ძველი მოდა და ტექსტილი
- ადგილობრივი მასალა, ქარგვა, ქსოვა, ჭადვა
- საყოფაცხოვრებო ტრადიციები
- ფერები და ფორმები ცოცხალ კულტურაში
- კულინარიული თავგადასავლები, ისტორიები

თანამედროვე ფორმები ტრადიციული წესების

წითელი ნუსხის ფლორა და ფაუნა.

აქტივობები და მობილობა:

გიდები

სოფლის მეწარმეობა

ტუროპერატორები

რანჩოები

ადგილობრივი ორგანიზაციები

დასკვნის სახით მარსელ პრუსტის სიტყვები:


„ მოგზაურობის ნამდვილი აღმოჩენა არა ახალი ლანდშაფტებია, არამედ ახალი თვალების შექმნაა. „




# ტერიტორიის განვითარების პროგრამები ეკოტურისტების განვითარების პროგრამა

## EcoTourism resources:


### NATURE:



### BUILT ENVIRONMENT:



### PEOPLE AND STORIES



# ტერიტორიის განვითარების პროგრამები

## 7.3. მარკეტინგი და პრომოცია

### პროგრამის აღწერა

მტირალას ეროვნულ პარკირეკლამირებას და პოპულარიზაციას ანხორციელებს დაცული ტერიტორიების სააგენტო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმის დეპარტამენტი ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. ისინი ახორციელებენ სხვადასხვა მარკეტინგულ ღონისძიებებს, რათა წარმოაჩინონ ქვეყანა და მის მშვიდი ჰარმონიული გარემო და აჭარის რეგიონში მდებარე დაცული ტერიტორიები. ციფრული მარკეტინგული აქტივობებით და ტურისტულ საქმიანობებში მონაწილეობით საერთაშორისო და ნაციონალურ დონეზე.

მარკეტინგი და პოპულარიზაცია მტირალას ეროვნული პარკის მონახულებისას სოფელ ყოროლისთავთან ერთად ყოველთვის იქნება შესრულებული პასუხისმგებლობითა და ეთიკურობით. მნიშვნელოვანია, რომ ვიზიტორთა მოლოდინები იყოს რეალისტური, რამეთუ იგი განაპირობებს მნახველთა კმაყოფილებას.

### პროგრამის მიზნები

2030 წლისთვის ბათუმი უნდა იყოს ფართოდ ცნობადი ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მტირალას პარკზე ინფორმაცია მიღწევს ათ მილიონობით მოსახლეზე სამიზნე და არსებული ქვეყნებიდან.

შემუშავდეს გეგმა, რომელიც გარდაქმნის მდიდარ ბუნებრივ და კულტურულ რესურსებს მსოფლიო კლასის პროდუქტად და უნიკალური გამოცდილებების მიღების შესაძლებლობად.

მოხდება მაღალი ხარისხის/მაღალ-მხარჯველობითი ტურისტები მოზიდვა ევროკავშირის, ჩრდილოეთ ამერიკის, შუა აღმოსავლეთისა და აზიის ქვეყნებიდან, რამეთუ მოეწყობა ფართო მასშტაბის ინფრასტრუქტურა და მრავალფეროვანი ატრაქციონები, რომლებიც იქნება ეკოტურიზმისა და ბუნების დაცვის პრინციპებთან თანხვედრაში.

### სტრატეგიული ღონისძიებები

მტირალას ეროვნულ პარკზე ცნობიერების ასამაღლებლად, მისი ღირებულებისა და პრიორიტეტების გამოსაკვეთად წლიური საოპერაციო მარკეტინგული გეგმის შემუშავება.

ახალი წამახალისებელი მასალის შექმნა და წარმოება, რომელიც მოიცავს ახალ პროდუქტებს.

ადგილობრივი/საერთაშორისო ტუროპერატორების შერჩევა, რომლებიც მტირალას ეროვნულ პარკს სთავაზობენ ტურიზმის პროდუქტად და საერთაშორისო ტუროპერატორების მოწვევა პარკის ტერიტორიის წარსადგენად.

მტირალას ეროვნულ პარკში ვიზიტორთა სპეციალისტებისთვის ტრენინგების ჩატარება ტურიზმსა და მარკეტინგში, განსაკუთრებით კი ციფრულ მარკეტინგში.

ლოგოსა და ვიზუალური მონახაზების შექმნა, რომლებიც გამოიყენება მარკეტინგისა და კომუნიკაციის პროცესში, რათა შექმნას პარკზე მარტივი პირველი შთაბეჭდილება და გახადოს ცნობადი. (მოიცავს აეროპორტში პოსტერების შექმნას, ქუჩის აფიშას, კონცეპტუალურ მონახაზს რათა დაეხმაროს ადგილობრივებს თავიანთი პროდუქტის ბრენდირებაში და სხვა პროდუქტების შექმნას, როგორცაა მაგნიტური სუვენირები, საწვინარი ქურთუკები, ჩექმები, ქოლგა და სხვა).



# ტერიტორიის განვითარების პროგრამები მარკეტინგი და კომუნიკაცია

**1. Responsible:** დაცული ტერიტორიების მდგრადი მარკეტინგი უნდა იყოს შემუშავებული და განხორციელებული პასუხისმგებლიანი და ეთიკური წესით. ამის მიღწევა შესაძლებელია იმის აღიარებით, რომ:

დაცული ტერიტორიის სააგენტოებისა და სხვა შესაბამის მონაწილე მხარეების მარკეტინგულ და წამახალისებელ სტრატეგიებსა და აქტივობებს წინ უნდა უძღოდეს კონსერვაციის შეტყობინებები.

სამიზნე ბაზრებს უნდა მიეწოდოს შეტყობინებები გარემოებრივი მთლიანობის დარღვევის საფრთხეების თაობაზე, რათა განმტკიცდეს პასუხისმგებლიანი ვიზიტორის და შეიცვალოს უპასუხისმგებლო ვიზიტორის ქცევა. ასეთი წამახალისებელი და საკომუნიკაციო კამპანია.

**2. Realistic:** იმისთვის რომ იყოს მდგრადი, დაცულ ტერიტორიაზე მარკეტინგი უნდა იყოს განხორციელებული ისეთი წესით, რომელიც არსებულ და პოტენციურ ვიზიტორებთან ავრცელებს რეალურ სურათებსა და ინფორმაციას. რეკომენდაციები, რათა გახდეს მარკეტინგი და პოპულარიზაცია უფრო რეალისტური მოიცავს:

წინასწარი მოლოდინები პირველადი ვიზიტორებისა დაცულ ტერიტორიაზე საჭიროებს ფრთხილ ფორმირებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს რომ ადგილზე მიღებული გამოცდილება ხვდება ან აჭარბებს მოლოდინებს და მათი კმაყოფილების დონე არის მაქსიმიზირებული. შეპირდი ნაკლებს, მიაწოდე მეტი;

თუკი უთანხმოებაა ადგილის სურათსა და ნამდვილს შორის, მაშინ პოტენციური ვიზიტორის უკმაყოფილო გამოცდილებისა იზრდება. ამან შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი შთაბეჭდილების გავრცელება, და უფრო ნაკლები განმეორებითი ვიზიტორები;

არსებითად ნებისმიერი გავრცელებული ინფორმაცია ან სურათი უნდა იყოს სარწმუნო;

**3. Regional:** დაცული ტერიტორიების მდგრადი მარკეტინგი უნდა იყოს შემუშავებული და გამოყენებული რეგიონალურ კონტექსტში, რათა ეკონომიკური განვითარება და დასაქმება არგებს ბუნებაზე დაფუძნებულ ტურიზმს და იქნება რეგიონალურ სივრცეში.

**4. Research:** ვლევა არის მდგრადი მარკეტინგის ფუნდამენტური ნაწილი და ამიტომაც უნდა განხორციელდეს და ინტეგრირდეს მარკეტინგული დაგეგმვისა და სტრატეგიის შემუშავების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ:

მდგრადი მარკეტინგი დაეფუძნოს სამიზნე ბაზრების ღირებულებების, საჭიროებების, მახასიათებლებისა და ქცევის გაგებას.

სამიზნე ბაზრების სიდიდე და სავარაუდო ხარჯები/სარგებელი აღნიშნული საბაზრო სეგმენტისა უნდა იყოს გულმოდგინედ შეფასებული;

ბაზრის გამოკვლევა შესაძლებლობას იძლევა ვიზიტორების მოთხოვნაზე სხვადასხვა ზეგავლების გაგებისა და მისი განხორციელება შეიძლება სისტემატიურ, მიმდინარე საფუძველზე;

**5. Relationships:** ოოპერაციულ ურთიერთობებს შესაბამის მიწის მენეჯმენტთან, ინდუსტრიათა და ადგილობრივ მონაწილეებს შორის შეუძლია სარგებელი მოუტანოს ყველას. იქიდან გამომდინარე რომ დაცული ტერიტორიის სააგენტოები ძირითადად შეზღუდულია ლიმიტირებული რესურსებით, სტრატეგიულ-კოლაბორაციულმა პარტნიორობამ შეიძლება განაპირობოს მდგრადი მარკეტინგული სტრატეგიების რენტაბელური დანერგვა.

კარგი პრაქტიკის მაგალითებიც კი აჩვენებს, რომ მხოლოდ 2 ან 3 პრინციპი არის გათვალისწინებული სპეციფიკური დაცული ტერიტორიის მმართველობისას.



Hiking trails for all kinds of weather.

Mtírala

# ტერიტორიის განვითარების პროგრამები მარკეტინგი და კომოცია

## “თავგადასავლებით გაჟღენთილი”.

გაჟღენთილი“.....არის ფრაზა, რომელიც მიუთითებს რაღაცას, რაც გამოირჩევა გარკვეული ხარისხის სიუხვით. პარკი არ არის მხოლოდ „სავსე“ თავგადასავლებით. ის იმდენად გაჟღენთილია, თავგადასავალი „გადმოედინება „ მისგან. მეორეს მხრივ, „გაჟღენთილი“ ნალექის დიდ რაოდენობასაც ეხება. წვიმა და შედეგად აყვავებულ მწვანე გარემო „არის“ განსაცდელი თავგადასავალი. ამგვარად, ფრაზა “თავგადასავლებით გაჟღენთილი“ წვიმას აქცევს პარკის უნიკალური თვისებების დადებით ზეიმად და იქ სტუმრობისას ახალი და საინტერესო გამოცდილების შესაძლებლობად.

სხვა ტექსტები ასევე წარმოადგენენ წვიმის ან ტენიანობის კონცეფციას დახვეწილი, მაგრამ პოზიტიური გზებით.

## შეხების წერტილები



ლოგოს სიტყვიერი ნიშანი არის ტიპოგრაფიული, რაც ხელს შეუწყობს ბრენდის მეტი ცნობადობის შექმნას. არის როგორც ინგლისური, ასევე ქართული ვერსია. ის შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ლოგო პლაკატებზე ან შემცირებული ვარიანტით ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის ხარისხის ბეჭედზე.

ფოტოგრაფია ფოკუსირებული უნდა იყოს პარკის სილამაზის ჩვენებაზე, მის ბუნებრივ მახასიათებლებზე, არქიტექტურულ ინტერვენციებზე და მისი ხილვით მიღებულ სიამოვნებებზე. უნდა იყოს შთამბეჭდავი.

პარკში ნალექის დიდი რაოდენობა პოზიტიურად და მხიარულად უნდა აისახოს მარკეტინგულ ტექსტსა და სლოგანები და ეხებოდეს პარკის სხვადასხვა მახასიათებლებს.

ვიზუალური სოციალური მედიის არხები, როგორცაა Instagram და Facebook ხაზს უსვამს ფოტოგრაფიას და არის ეფექტური იაფი საშუალება პარკის პოპულარიზაციისთვის.

აბრეზებზე მკაფიოდ და გასაგებად უნდა იყოს მონიშნული პარკის შესავლელი, რათა წაახალისოს ვიზიტორთა პასუხისმგებლობითი ქცევა. ბილიკის მარშრუტები ნათლად უნდა მიუთითებდეს ბილიკების უსაფრთხოებას.

აბრეზი უნდა იყოს როგორც ბუნებრივი, ასევე თანამედროვე მასალის, რათა შეერწყას გარემოს და შეინარჩუნოს მაღალი ხილვადობა.

საქონელი უნდა იყოს საიმედო ხარისხის, სასარგებლო, მრავალჯერადი გამოყენებისა და პასუხისმგებლობით წარმოებული, რაც ხელს შეუწყობს პარკის პოპულარიზაციას.

## ვიზუალიზაცია



# ტერიტორიის განვითარების პროგრამები მარკეტინგი და კომოსია

## მარკეტინგი



**Photography** should focus on showing the beauty of the park through its natural features, architectural interventions and enjoyment of its visitors. Impressive and relatable.

## სოციალური მედია



Visual **social media** channels such as Instagram and Facebook emphasize photography and are an effective low cost place to promote the park.

**Dripping  
with adventure**

New art from nature's best elements.  
Hiking trails for all kinds of weather.  
Growing adventure from the ground up

**Enjoy the rain  
Adventure in all  
kinds of weather**

**Marketing text and slogans** should acknowledge the large amount of rainfall in the park in a positive and playful way. And reference the different features of the park.

# ტერიტორიის განვითარების პროგრამები მარკეტინგი და კომოსია

## ბრენდინგი



**Signing boards** should clearly mark the park entrances to encourage responsible visitor behaviour. Trail routes should clearly signify paths for safe usage.



**Merchandise** should be of reliable quality and promote the values of the park by being useful, reusable, and responsibly produced.



**Signing boards** should integrate natural materials with modern materials to blend into the environment while retaining a high level of visibility.



# ტერიტორიის განვითარების პროგრამები

## 7.4. ტერიტორიის მართვისას ბიომრავალფეროვნების დაცვა

### პროგრამის აღწერა

ეკოტურიზმის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დავიცვათ ბიომრავალფეროვნება, რომელიც იცავს და მართავს დაცულ ტერიტორიებზე არსებულ ბუნებრივ საცხოვრებლებს, ეკოსისტემებსა და სხვადასხვა სახეობებს. კვლევის თანახმად, ეკოტურიზმის განვითარება შეიძლება იყოს ბუნებრივი საცხოვრებლების დეგრადაციისა და განადგურების, სახეობების გადაჭარბებული ექსპლუატაციისა და უკანონო მოპოვების, კლიმატის ცვლილების გამო სათბურის ეფექტის ზრდის, და გარემოს დაბინძურებისა ფაქტორი სხვა მრავალ ასპექტთან ერთად. ამ მიზეზების გამო, ეს პროგრამა შექმნილია იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ დაპროექტებულ ტერიტორიაზე ეკოტურიზმის უარყოფითი ზემოქმედება.

### პროგრამის მიზნები

ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და ხელშეწყობა;  
ბუნებრივი საცხოვრებელი გარემოს აღდგენა და ბიომრავალფეროვნების მართვა;  
ეკოტურისტული აქტივობებით ბუნებრივი აქტივების ღირებულებების შექმნა

### სტრატეგიული ზომები

ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით, საგანმანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები;  
ბიომრავალფეროვნების ინტეგრირება ეკოტურიზმის განვითარებაში;  
ეკოტურიზმისა და კონსერვაციის ორგანიზაციების დაკავშირება;  
განხორციელების წესები და რეგულაციები;  
მაგალითად: ვიზიტორთა რაოდენობის შეზღუდვა საცხოვრებლისა და პარკინგის რაოდენობის შეზღუდვით.



# 8. სახელმწიფო რეგულაციები რომელიც მოქმედებს ტურიზმის განვითარებაზე

## 8.1. საქართველოში ტურიზმის განვითარებაზე მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების მოკლე მიმოხილვა

საქართველოში ტურიზმის რეგულირების სამართლებრივი საფუძველი განისაზღვრება შემდეგი კანონებით:

- ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის
- საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ
- საქართველოს კანონი კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ
- საქართველოს კანონი თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ
- საქართველოს კანონი საქართველოში შემოსული და საქართველოდან გასული ტურისტების აღრიცხვის მონეტარიზაციის შესახებ
- საქართველოს საგადასახადო სისტემა ტურიზმთან მიმართებაში

ანგარიშის მიზნებისთვის ასევე დამატებით განხილულია შემდეგი კანონები/სამართლებრივი აქტები:

- საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საგადასახადო შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში
- საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ
- კანონი საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ
- საქართველოს კანონი მტირალას ეროვნული პარკის შესახებ
- კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ
- იუნესკოს რეგულაციები
- ზურმუხტის ქსელი

აღსანიშნავია აგრეთვე 1985 წელს სოფიაში მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (WTO) გენერალურ ასამბლეაზე მიღებული ტურისტული უფლებების შესახებ კანონი. საქართველოს პარლამენტმა დოკუმენტი 1994 წლის 25 იანვარს დაამტკიცა და შესაბამისად აიღო შემდეგი ვალდებულებები:

- ხელი შეუწყოს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურიზმის მონეტარიზაციულ და ჰარმონიულ ზრდას
- ინკლუზიური ტურიზმის განვითარებას
- სათანადო ყურადღება მიაქციოს მანილას დეკლარაციას მსოფლიო ტურიზმის შესახებ და აკაპულკოს დოკუმენტის პრინციპებს „მათი ტურისტული პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელებისას“
- განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ადგილობრივი მოსახლეობის კულტურას
- განავითაროს ურთიერთპატივისცემა ძირძველ მოსახლეობასა და მოგზაურებს შორის, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს კულტურათაშორის დიალოგს

ასევე, საქართველოს ტურიზმის ასოციაციამ 2017 წლის 4 აპრილს ხელი მოაწერა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) გლობალური ეთიკის კოდექსს.

კოდექსის მიხედვით, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია მხარს უჭერს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ტურისტული საქმიანობების მუდმივ ზრდასა და განვითარებას, რადგან იგი ავითარებს კერძო და ბიზნესსა და თავისუფალ ვაჭრობას, ამასთან ქმნის დასაქმების პერსპექტივასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

ამავე კოდექსის თანახმად, რეგულირდება ტურისტული საქმიანობის წარმართვის პრინციპი: მასპინძელი ქვეყნების ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებითა და მათი ტრადიციებისა პატივისცემით.

აგრეთვე, კოდექსი არეგულირებს მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელ წინაპირობებს და მოითხოვს, რომ ტურისტული ინდუსტრიის ყველა მონაწილემ დაიცვას ბუნება და ბუნებრივი რესურსები. აგრეთვე, უნდა მოხდეს ფასეული ბუნებრივი რესურსების ეკონომიურად მოხმარება. ამასთან, სახელმწიფო ორგანოების მიერ ნახალისებულ უნდა იქნას ნარჩენების წარმოშობის შეზღუდვა.

# სახელმწიფო რეგულაციები რომელიც მოქმედებს ტურიზმის განვითარებაზე საქართველოში ტურიზმის განვითარებაზე მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების მოკლე მიმოხილვა

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის შეთანხმების მიხედვით, ტურისტული საქმიანობა და ინფრასტრუქტურული ნაგებობები უნდა დაპროექტირდეს ისე, რომ დაცული იყოს ბუნებრივი მემკვიდრეობა, ამასთან, არ მიაღვეს საფრთხე ადგილობრივ ფლორასა და ფაუნას. შესაბამისად, ტურიზმის ხელშეწყობით დაინტერესებული პირები უნდა იზიარებდნენ და ეთანხმებოდნენ რეგულაციებს მათ საქმიანობაზე, რომლებიც წესდება განსაკუთრებულად მგრძობიარე ტერიტორიაზე. ტურისტული საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვით. ტურისტული ობიექტებიდან მიღებული ფინანსური რესურსის ნაწილი გამოყენებული უნდა იქნას კულტურული მემკვიდრეობის შენახვასა და დაცვაში. აგრეთვე, აღნიშნული კოდექსით ტურისტული საქმიანობა უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ქვეყნის თვითმყოფადობა და ტრადიციული მახასიათებლები შენარჩუნდეს და არ მოხდეს მათი სტანდარტიზება.

მეხუთე მუხლის მიხედვით, ადგილობრივი მაცხოვრებლები ჩართულნი უნდა ტურისტულ საქმიანობაში და მათ უნდა ჰქონდეთ ეკონომიკური ან/და სოციალური სარგებლობის მიღების შესაძლებლობა, სახელდობრ, ლოკალური მაცხოვრებელთათვის სამუშაო ადგილების შექმნის ფორმით.

ტურისტული საქმიანობების სპექტრი განსაზღვრული უნდა იყოს იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნები და აამაღლოს მათი კეთილდღეობა. სხვადასხვა არქიტექტორული დაგეგმარებისას, პრიორიტეტული უნდა იყოს ადგილობრივი სამუშაო ძალების გამოყენება.

ინვესტირებას აკისრიათ ვალდებულება კანონმდებლობის შესაბამისად, ჩაატარონ კვლევები მათი პროექტების განხორციელების შედეგებზე და მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარადგინონ თავიანთი გეგმებისა და პროექტების შესახებ ინფორმაცია.

## I. ასოცირების შესახებ შეთანხმება

ასოცირების შესახებ შეთანხმება მიღებულია ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. დოკუმენტს ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს. ხელშეკრულება აღიარებს ტურიზმს, როგორც ეკონომიკური განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობ საშუალებას. აღნიშნული დოკუმენტის მეცხრე თავი არეგულირებს ტურიზმის განვითარების ზოგად პრინციპებს, მათ შორის აღსანიშნავია:

ა) ადგილობრივ საჭიროებებს მორგება და ქვეყნის თვითმყოფადობის დაცვა, პატივისცემა

ბ) კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შენარჩუნება

გ) ტურისტული ქმედებების განხორციელება ბუნებისა და გარემოს დაცვის შესაბამისად

დოკუმენტში ტურიზმის განვითარების შესახებ ხაზგასმულია ადგილობრივი მოსახლეობის საქმიანობაში ჩართვის მნიშვნელობა, ტურისტული საქმიანობის განხორციელების პროცესში. დაგეგმარებისას ყურადღება გამახვილებულია საჯარო და კერძო ორგანიზაციების ჩართულობაზე და მათ კოოპერატიულ მუშაობაზე ლოკალურ მოსახლეობასთან ერთად შეთანხმებულად.

## II. საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ

საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ არეგულირებს ტურისტულ საქმიანობებში არსებულ ურთიერთობებს. აღნიშნული კანონმდებლობის მეორე თავში აღწერილია სახელმწიფო რეგულაციათა სისტემა ტურიზმისა და კურორტების დარგში, კერძოდ:

საქართველოს ტურისტული და საკურორტო რესურსები ეროვნული სიმდიდრეა და მას სახელმწიფო იცავს

სახელმწიფო აღიარებს ტურიზმისა და კურორტების დარგს ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად და ქმნის ტურისტული და საკურორტო საქმიანობისათვის ხელსაყრელ პირობებს

საქართველოს პარლამენტი:

1. განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს ტურიზმისა და კურორტების დარგში და ახორციელებს მის საკანონმდებლო რეგულირებას

2. ამყარებს საპარლამენტთაშორისო ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან ტურიზმისა და კურორტების დარგში

საქართველოს მთავრობა:

1. უზრუნველყოფს ტურიზმისა და კურორტების დარგში ერთიანი პოლიტიკის განხორციელებას

2. დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანოსა და შესაბამისი სამსახურების წარდგინებით ამტკიცებს სანიტარიული დაცვის ზონებს

3. ითვალისწინებს ტურიზმისა და კურორტების განვითარების ინტერესებს ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელებისას, აგრეთვე სახელმწიფოთაშორის და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში

4. დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანოს წარდგინებით ამტკიცებს კურორტების ნუსხას და სტატუსს

აღნიშნულ კანონში მოცემულია ტურიზმისა და კურორტების დარგის მართვის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო და მისი ფუნქცია მოვალეობები და დარგის მართვის რეგიონალური ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია.

**III. საქართველოს კანონი კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ**

კანონი არეგულირებს საკურორტო ზონებში საწარმოების განთავსების სტრუქტურას, მათ ფუნქციონირებასა და ბუნებრივი სამკურნალო რესურსებით სარგებლობის პირობებს. კანონი ემსახურება ბუნებრივი სამკურნალო რესურსების შენარჩუნებას და მისი დაბინძურებისა თუ გამოფიტვის აღკვეთას.

მტირალას ეროვნულ პარკში გვხვდება არაერთი სანიტარიული ზონა, რადგანაც ტერიტორიაზე განთავსებულია სამკურნალო თვისებებით გამოირჩეული მინერალური წყლის წყაროები. კანონში მოცემულია სანიტარიული დაცვის ტერიტორიების ზოგადი წესები:

1. დაუშვებელია სამუშაოები, რომლებიც იწვევს ნიადაგის, ჰაერისა და წყლის დაბინძურებას, აზიანებს ტყეებს, უარყოფითი ზემოქმედება აქვს საკურორტო ადგილების მდგომარეობაზე
2. სანიტარიულ ზონებში ხორციელდება განახლებითი და გამაჯანსაღებელი ღონისძიებები
3. დადგენილია სანიტარიულ ზონაში საქმიანობის მკაცრი საზღვრები, რომლებიც ემსახურება სამკურნალო რესურსების კვლავწარმოებასა და მოვლას

სანიტარიული დაცვის ზონები დგინდება ყველა კურორტისა და საკურორტო ადგილისათვის.

აღნიშნული კანონის მეხუთე მუხლი განსაზღვრავს ბუნებრივ სამკურნალო რესურსებს:

1. მინერალური წყლების საბადოები (ან მათი უბნები), რომლებიც გამოიყენება ადგილზე სამკურნალოდ ან ჩამოსასხმელად
2. სამკურნალო ტალახი
3. ბუნებრივი აირისა და ორთქლის საბადოები, რომლებსაც გააჩნია სამკურნალო თვისებები;
4. სხვა საბადოები (ბიშოფიტი, ოზოკერტი, თიხები, თერმული წყლები, მაგნიტური სილის პლაჟები და სხვ.), რომლებიც გამოიწვევს სამკურნალო თვისებებით;
5. სამკურნალო კარსტული მღვიმეები
6. ზღვის, ტბისა და მდინარის სანაპირო ზოლები და კლიმატი, რომლებიც გამოიყენება სამკურნალო-გამაჯანსაღებელი საქმიანობისათვის
7. ტყე, ტყეპარკი, საკურორტო პარკი და სხვა მწვანე ზონები, რომლებსაც აქვს პროფილაქტიკური, სამკურნალო და სარეაბილიტაციო ფუნქციები

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კურორტულ ტერიტორიებზე დგინდება სამი სანიტარიული ზონა: პირველი (მკაცრი) ზონა, მეორე (შეზღუდული რეჟიმის) ზონა და მესამე (სამეთვალყურეო) ზონა. პირველ ზონა მოიცავს კურორტისა და საკურორტო ადგილის იმ ტერიტორიას, სადაც განლაგებულია მინერალური წყლების ბუნებრივი და ხელოვნური გამოსასვლელები, სამკურნალო ტალახის და სხვა ბუნებრივი სამკურნალო რესურსების საბადოები, სამკურნალო კარსტული მღვიმეები, სანაპიროები. ზონაში აკრძალულია სამენარმეო ან/და სასოფლო-სამეურნეო სახის საქმიანობები, მიწის სამუშაოები და ადამიანების მუდმივი საცხოვრებელის განთავსება. მეორე ზონაში აკრძალულია ობიექტების მშენებლობა, რომლებიც უშუალოდ კურორტის განვითარებას არ ემსახურება, ხოლო მესამე ზონაში საქმიანობა დაშვებულია, თუკი იგი უარყოფით გავლენას არ ახდენს ბუნებრივ სამკურნალო რესურსებზე.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სანიტარიული დაცვის ზონა დგინდება შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისა და საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, ხოლო ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

აღნიშნული კანონის მეორე და მესამე თავში მოცემულია სანიტარიული დაცვის ზონები, მათი რეჟიმები და ზონების საზღვრები დეტალურად.

**IV. საქართველოს კანონი თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ**

კანონის შექმნა ემსახურება საქართველოში ტურიზმისა და მენარმეობის განვითარებას, აქედან გამომდინარე, იგი აყალიბებს პირობებსა და პრინციპებს ტურისტულ ზონებში სასტუმროების მშენებლობისა და მათი ფუნქციონირების საკითხებს, ამასთან, სხვადასხვა შეღავათის განევას სახელმწიფოს მხრიდან.

კანონი მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე მოქცეულ თავისუფალ ტურისტულ ზონებზე, რომლებსაც საზღვრავს საქართველოს მთავრობის დადგენილება.

თავისუფალი ტურისტული ზონის არეალი განისაზღვრება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, რომლის ტურისტული ინფრასტრუქტურა არ არის განვითარებული, თუმცა აქვს განვითარების პერსპექტივა.

ინვესტორები, რომლებიც პროექტისთვის გამოყოფენ 1 მილიონზე მეტს, სარგებლობენ სახელმწიფო შეღავათებით:

- ა) სასტუმრომდე შესაბამისი ინფრასტრუქტურის (გაზი, წყალი, ელექტროენერჯია) მოწესრიგება
- ბ) სასტუმრომდე მისასვლელი გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია
- გ) სასტუმროს ირგვლივ არეალის გამწვანება და მოპირკეთება
- დ) მშენებლობის ნებართვის გამარტივებული წესით გაცემას
- ე) სასტუმროს სამშენებლო პროექტის უსასყიდლო გაცემა

# სახელმწიფო რეგულაციები რომელიც მოქმედებს ტურიზმის განვითარებაზე საქართველოში ტურიზმის განვითარებაზე მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების მოკლე მიმოხილვა

ინვესტორი თავისუფლდება:

ა) თავისუფალ ტურისტულ ზონაში სასტუმროსთან თავსებადი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ქონების გადასახადისა და მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან სასტუმროს უქსპლუატაციაში შესვლიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვადით, ამ კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში

ბ) მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან

## V. საქართველოს კანონი საქართველოში შემოსული და საქართველოდან გასული ტურისტების აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ

კანონი არეგულირებს საქართველოში შემოსული და გასული ტურისტების აღრიცხვას და სტატისტიკური მონაცემების შედგენას, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო პოლიტიკური გეგმის შექმნას და განხორციელებას. კანონში მოცემულია ტურისტთა აღრიცხვის წესები და განმარტებულია შემდეგი ტერმინები:

- ა) ტურისტი – პირი, რომელიც იმყოფება მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, უცხო გარემოში, დასვენების, საქმიანი თუ სხვა მიზნით, ვადით არანაკლებ 24 საათისა და არა უმეტეს ერთი წლისა – უწყვეტად, და ყოფნის ადგილას მისი საქმიანობა არ არის ანაზღაურებადი
- ბ) ერთდღიანი ვიზიტორი – პირი, რომელიც იმყოფება მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, უცხო გარემოში, დასვენების, საქმიანი თუ სხვა მიზნით, ვადით არა უმეტეს 24 საათისა და ყოფნის ადგილას მისი საქმიანობა არ არის ანაზღაურებადი
- გ) ორგანიზებული ტურისტი – პირი, რომელსაც შექმნილი აქვს ტური, ანუ რომლის მოგზაურობა ორგანიზებულია ტურისტული სუბიექტის (ფირმის, საწარმოს, ორგანიზაციის, ტუროპერატორის და სხვა) მიერ და იღებს მისგან კომპლექსურ მომსახურებას
- დ) ტრანზიტული ტურისტი – პირი, რომელიც მიემგზავრება მესამე ქვეყანაში საქართველოს ტერიტორიის გავლით

## VI. საქართველოს საგადასახადო სისტემა ტურიზმთან მიმართებაში

საქართველოში მოქმედებს შეღავათები ტურისტულ საქმიანობებთან მიმართებაში, რითაც სახელმწიფო ცდილობს ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას. კერძოდ:

### ტურ ოპერატორებისთვის:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის (დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლება) მეოთხე ნაწილის „პ“ პუნქტით ტუროპერატორი (პირი, რომელიც ახორციელებს ტურისტული პროდუქტის ფორმირებას და ტურისტისთვის მიწოდებას) დღგ-ს საგადასახადო ვალდებულებისგან თავისუფლდება თუკი მოხდა:

- ტუროპერატორის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი ტურისტის ორგანიზებული შემოყვანა და მისთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული პროდუქტის მიწოდება და
- მისი პაკეტი მოიცავს ორზე მეტ ტურისტულ სერვისს. (საქართველოს საგადასახადო კოდექსი 157-ე მუხლის (ტერმინთა განმარტებები) „ც“ პუნქტის მიხედვით - **ტურისტული პროდუქტი** – ტურისტული მომსახურების სახეობათა (მათ შორის, ტრანსპორტირება, განთავსება, კვება, გიდის მომსახურება, აგრეთვე ტურისტული მომსახურების დამხმარე მომსახურება) არანაკლებ ორი კომპონენტის ერთობლიობა).

### ტურისტული საწარმოსთვის:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-100 მუხლის (ერთობლივი შემოსავალი) მეოთხე ნაწილის „კ“ პუნქტის მიხედვით ერთობლივ შემოსავალში ასახვას არ ექვემდებარება:

- ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის გამოყენებით ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმრო მომსახურების გაწევის (სასტუმრო ნომრებად/აპარტამენტებად გამოყენების) შედეგად მიღებული შემოსავალი - ფიზიკური პირისთვის;

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის (დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლება) მეოთხე ნაწილის „ქ“ და „ღ“ პუნქტით დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით, ასევე გათავისუფლებულია:

- ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმროს აქტივების ან ამ აქტივების ნაწილის სხვა პირისთვის მიწოდება ამ ქონების უკან მიღების მიზნით. თუ ტურისტული საწარმო სასტუმროს აქტივების ან ამ აქტივების ნაწილის სხვა პირისთვის მიწოდებიდან 2 წლის განმავლობაში სასყიდლიანი ხელშეკრულებით უკან მიიღებს იმავე აქტივებს, ოპერაცია ასევე თავისუფლდება დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით და ეს არის დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირების საფუძველი. ამ შემთხვევაში ტურისტულ საწარმოს უფლება აქვს, განახორციელოს დასაბეგრი ოპერაციის კორექტირება ამ კოდექსის 179-ე მუხლით დადგენილი წესით
- ტურისტული საწარმოს მიერ ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ობიექტის ან ამ ობიექტის ნაწილის სასტუმროდ ფუნქციონირებისთვის/ ოპერირებისთვის მოწვეული პირის/პირების მიერ სასტუმროს აქტივების ან ამ აქტივების ნაწილის მესაკუთრისთვის კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 60 დღის ვადით სასტუმრო მომსახურების (სასტუმროში ცხოვრების) უსასყიდლოდ გაწევა;

# სახელმწიფო რეგულაციები რომელიც მოქმედებს ტურიზმის განვითარებაზე საქართველოში ტურიზმის განვითარებაზე მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების მოკლე მიმოხილვა

## VII. საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საგადასახადო შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში

მაღალმთიანი რეგიონებში განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკა ემსახურება მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. ამ კანონის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო შეღავათების დადგენა, რათა ადგილობრივ მოსახლეობას დაეხმაროს დასაქმებასა და უკეთესი სოციო-ეკონომიკური პირობების შექმნაში.

კანონი განმარტავს მაღალმთიანი დასახლების სტატუსთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას (მეორე მუხლი) და ფიზიკური პირისთვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭება, შეწყვეტა, შეჩერება, აღდგენას (მესამე მუხლი).

ნიშნდობლივია საგადასახადო შეღავათები მაღალმთიან რეგიონებში, კერძოდ:

- ა) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი სარგებლობს საშემოსავლო გადასახადთან და ქონების გადასახადთან დაკავშირებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო შეღავათებით
- ბ) შენარმე სუბიექტი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვადითა და წესით თავისუფლდება გადასახადებისაგან.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, უცხოელ ფიზიკურ პირს არ აქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ქონის უფლება. მიწა შეიძლება იყოს საქართველოში რეგისტრირებული იმ კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში, რომლის დომინანტი პარტნიორია უცხოელი მხოლოდ საინვესტიციო გეგმის საფუძველზე წარდგენის საფუძველზე. ამავე კანონის განმარტებით, საინვესტიციო გეგმა არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გამოყენების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ან/და სხვა პროდუქციის წარმოების, ინოვაციური საქმიანობების დანერგვის, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის, საერთაშორისო, სახელმწიფოებრივი ან/და ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტების შესრულების მიზნით ინვესტიციის განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ეროვნული უსაფრთხოების დაცვას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

## VIII. კანონმდებლობა დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ

მოცემული კანონი განსაზღვრავს დაცული ტერიტორიის არსს, მისი არსებობის მიზნებს, და მასზე უფლებამოსილების გავრცელების არეალს.

კანონის მიხედვით, დაცული ტერიტორიის შექმნა ემსახურება ბიომრავალფეროვნებისა და უნიკალური ეკოსისტემების შენახვასა და განვითარებას, ისტორიულ-კულტურული ძეგლების შენარჩუნებასა და აღდგენას, ტურიზმისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო რესურსების გონივრულ გამოყენებას.

კანონი არეგულირებს დაცულ ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების ფლობის, განკარგვისა და სარგებლობის დაშვებულ ფორმებს, აგრეთვე ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოყენებასთან დაკავშირებით.

დაცული ტერიტორია და მასზე არსებული ბუნებრივი რესურსები არის სახელმწიფოს საკუთრება და დაუშვებელია მისი მფლობელობის გადაცემა სხვა პირზე, გარდა ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონისა, მენეჯმენტის გეგმით ან დროებითი რეგულირებით ცალკეული უბნების გასხვისებისა. ტერიტორიის დროებითი გადაცემა შეიძლება მოხდეს:

- ა) ბუნების ძეგლის (მცირე უნიკალური ტერიტორიები, იშვიათი ბუნებრივი წარმონაქმნები) ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე მხოლოდ ეკოტურიზმისა და რეკრეაციული მიზნებისთვის
- ბ) მოსახლეზე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმართვის მიზნით იჯარით გაცემა არაუმეტეს 10 წლისა
- გ) ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების, ვიზიტორთა და ტრადიციული გამოყენების ზონაში ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარების მიზნით
- დ) ადმინისტრაციისა და ტრადიციულ ზონებში კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობების განთავსების მიზნით
- ე) საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, მენეჯმენტის გეგმით ან დროებითი რეგულირების წესით განსაზღვრულ შემთხვევებში ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონასა და აღკვეთილის ცალკეულ უბნებში დაშვებულია ტერიტორიის სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გაცემა (მუხლი 12, პუნქტი 26, პარაგრაფი „ა“ – „ზ“)

ტერიტორიის დროებით გასხვისებას ახდენს დაცული ტერიტორიების სააგენტო, დაინტერესებული პირის მიერ განაცხადის შეტანის საფუძველზე.

დაცული ტერიტორიის მართვას, დაგეგმარებასა და კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

კანონის დადგენილებით მოსახლეობას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დაცული ტერიტორიების განვითარების, ტერიტორიული მარკირებისა და მენეჯმენტის პროცესებში, სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტის განხილვასა და შესწორებაში, დაცულ და ბუფერულ ტერიტორიებზე ზრუნვაში.

კანონით ასევე დარეგულირებულია დაცულ ტერიტორიაზე საქმიანობის არეალი.

### დაცული ტერიტორიის შიგნით იკრძალება:

- ა) ბუნებრივი ეკოსისტემების რღვევა და სახის შეცვლა
- ბ) ექსპლუატაციის ან რაიმე სხვა მიზნით რომელიმე ბუნებრივი რესურსის განადგურება (ამონყვეტა), ამოღება (დატყვევება), რღვევა, დაზიანება (დახეობრება), შეშფოთება
- გ) გარემოს დაბინძურების მიზნით ბუნებრივი ეკოსისტემების და სახეობების დაზიანება

# სახელმწიფო რეგულაციები როგორც მოქმედებს ტურიზმის განვითარებაზე საქართველოში ტურიზმის განვითარებაზე მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების მოკლე მიმოხილვა

ე) ტერიტორიაზე ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებების შეტანა

ვ) დაცული ტერიტორიის ინდვიდუალური დებულებითა და მენეჯმენტის გეგმით დაუშვებელი სხვა საქმიანობა

## დაცული ტერიტორიის შიგნით რეგულირებას ექვემდებარება:

ა) ვიზიტორთა დაშვება განსაზღვრულ ადგილებში

ბ) ნადირობა, თევზაობა, დაბანაკება, ცეცხლის დანთება, სავაჭრო და კომერციული საქმიანობა, შენობების, გზებისა და ნაგებობების მშენებლობა და მათი ისტორიული სახის შეცვლა, ტერიტორიაზე, მის თავზე, ან მის ქვეშ სახმელეთო, საჰაერო და წყლის ტრანსპორტის გამოყენება

გ) ვიზიტორთა ქცევა, დაცვითი რეჟიმის მოთხოვნათა გათვალისწინებით, დღე-ღამის განმავლობაში

დ) მცენარეებისა და ცხოველების შეგროვება, დაჭერა და მათი გატანა (გაყვანა) ტერიტორიის გარეთ

ე) უპატრონოდ მიტოვებული შინაური ცხოველების გარეკვა, იზოლირება, განადგურება

ვ) ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ტრადიციული შენობა-ნაგებობების მშენებლობისათვის ან დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრული საქმიანობისათვის არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსის (ფიქლის ქვის) მოგროვება, რომლის მოპოვების წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა

## დაცული ტერიტორიის შიგნით კონტროლდება:

ა) ყველა სახის დაშვებული სამეცნიერო საქმიანობა

ბ) ყველა სახის დაშვებული საგანმანათლებლო საქმიანობა

გ) ყველა სახის დაშვებული სამეურნეო საქმიანობა

დ) ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება:

- დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა ნაკადის თანაბარი განაწილება
- ვიზიტორთა ინტერესების მიხედვით შერჩეული ტერიტორიების წინასწარი რეგისტრაცია
- ვიზიტორთა დაშვების დროისა და ხანგრძლივობის შესაბამისობა დაცული ტერიტორიების მიზნებთან
- თითოეულ ტერიტორიაზე ვიზიტორთა დაშვებული ლიმიტის შესაბამისობა ვიზიტორთა რაოდენობასთან

ე) სტიქიური უბედურებისა და კატასტროფის საფრთხე.

## დაცული ტერიტორია დროებითი რეგულირებით კონტროლდება:

ა) კატეგორიის დაკანონებამდე და მენეჯმენტის პირველი გეგმის დამტკიცებამდე

ბ) სტიქიური უბედურებისა და კატასტროფის სალიკვიდაციო ღონისძიებების დროს (საგანგებო წესები განისაზღვრება ნორმატიული აქტებით).

## დაცული ტერიტორიის გარეთ კონტროლდება:

ა) ეკოსისტემებისა და ბუნებრივი რესურსების მდგომარეობა ბუფერულ ზონაში;

ბ) ბუფერულ ზონასთან შეხებაში მყოფი განვითარების პროგრამები და ცალკეული მნიშვნელოვანი სამეურნეო და სამშენებლო პროექტები (გარემოზე მავნე ზემოქმედების შეფასების მიზნით);

გ) დაცული ტერიტორიისათვის საზიანო გარეშე საქმიანობის პრევენტული ღონისძიებები (აღმკვეთი ჯარიმის დაწესება);

დ) დაცული ტერიტორიისათვის მავნე საქმიანობით მიყენებული ზარალის კომპენსაცია.

## IX. კანონი საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ

მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებული მცენარეებისა და ცხოველების მრავალი სახეობა შეტანილია საერთაშორისო და საქართველოს წითელ ნუსხაში, ამიტომაც ეროვნულ პარკში მოქმედებს კანონი საქართველოს „წითელი ნუსხის“ შესახებ. კანონი არეგულირებს გადაშენების პირას მყოფი ორგანიზმების დაცვასა და გადარჩენას.

გადაშენების წინაშე მყოფ სახეობებს იცავს სახელმწიფო და აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ამ ორგანიზმების რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო არეალის დაზიანება ან გაუარესება, ორგანიზმების საბინადრო გარემოსა თუ გამრავლების ადგილების, შიგრაციისთვის ხელსაყრელი და წყლისკენ მიმავალი ბილიკების, წყლის სასმელი არეალის დარღვევა.

გადაშენების პირას მყოფი სახეობების ან მათი ნაწილების უკანონოდ მოპოვებით, განადგურებითა და რეწვით სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## X. საქართველოს კანონი მტირალას ეროვნული პარკის შესახებ

მტირალას ეროვნული პარკის შექმნა ემსახურება იქ არსებული უნიკალური ეკოსისტემების გრძელვადიან დაცვასა და შენარჩუნებას. ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მითითებით პარკის ტერიტორიაზე დაშვებულია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა (გარდა ნიაღისეულისა) ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. აღნიშნული დოკუმენტის მეორე მუხლი ეხება პარკის დაცვასა და გამოყენების რეჟიმს, კერძოდ:

# სახელმწიფო რეგულაციები რომელიც მოქმედებს ტურიზმის განვითარებაზე

## საქართველოში ტურიზმის განვითარებაზე მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების მოკლე მიმოხილვა

ა) დაცვისა და გამოყენების რეჟიმი (მათ შორის, პარკის ტერიტორიულ-ფუნქციური ზონირება) განისაზღვრება ამ კანონის, მტირალას ეროვნული პარკის სამენეჯმენტო გეგმისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ბ) მტირალას ეროვნული პარკის სამენეჯმენტო გეგმის შესაბამისად პარკის ტერიტორიაზე შეიძლება დაშვებულ იქნეს ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა (გარდა წიაღით სარგებლობისა) პარკის მიმდებარე თემების საკრებულოებში შემავალი დასახლებული პუნქტების მოსახლეობის საჭიროებათა გათვალისწინებით.

გ) პარკის ტერიტორიაზე იკრძალება წიაღით სარგებლობა და სამონადირეო მეურნეობის მონყობა.

დ) პარკის ტერიტორია სახელმწიფო საკუთრებაა და გასხვისებას არ ექვემდებარება.

### XI. კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ

მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ, 8 მაისი, 2007

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონების კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ აწესებს როგორც ზოგად, ისე უფრო დეტალურ დაცვის რეჟიმებს, ზონების თითოეული ტიპისათვის, რომლებიც ურბანული დაგეგმარების დოკუმენტაციის უმნიშვნელოვანეს და სავალდებულო საფუძველს წარმოადგენენ. იმ შემთხვევაში, როდესაც ისტორიულ-კულტურული საცნობარო გეგმები შემუშავებული არ არის, ნებისმიერი საპროექტო შეთავაზება უნდა ემყარებოდეს წინასწარ არქიტექტურულ და ისტორიულ კვლევას, რომელიც შემუშავებული უნდა იქნეს დეველოპერის მიერ, მისივე დანახარჯებით.

დაცვის ზონების ფარგლებში არსებულ ისტორიულ გარემოში ნებისმიერი ინტერვენცია საჭიროებს ადგილობრივი მთავრობის ნებართვას, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანხმობით. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ნუსხაში შეტანილ აღნუსხულ ძეგლებსა და შენობებზე ინტერვენციის განსახორციელებლად, აუცილებელია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანხმობა. ზოგიერთი ყველაზე მყარი რეგულაციები ვრცელდება ისტორიული განაშენიანების ტერიტორიის დაცვის ზონაზე. ამ შემთხვევაში, ახალი განვითარება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ანაცვლებს განადგურებულ სტრუქტურას, რომელსაც არ გააჩნია ისტორიული ან კულტურული მნიშვნელობა ან იმ შემთხვევაში, როდესაც ის აუმჯობესებს ისტორიულ გარემოს, ღირებულების არმქონე შენობების ან დისონანსის შემომტანი სტრუქტურების ჩანაცვლებისა და ისტორიული წყობისა და მორფოლოგიის აღდგენის მეშვეობით.

შენობების დანგრევა აკრძალულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ყველა ტიპის ზონაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს შენობის ფიზიკური მდგომარეობის გამოუსწორებელი განადგურებით გამოწვეული მყისიერი საფრთხე ან იმ შემთხვევაში, როდესაც შენობების დანგრევა აუცილებლად მიიჩნევა იმ შენობების მოსაშორებლად, რომლებიც ამახინჯებს ისტორიულ გარემოს. ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონებში, მხოლოდ დროებითი კონსტრუქციები შეიძლება იქნეს ნებადართული იმ შემთხვევებში, როდესაც ეს აუცილებელია დაცული სტრუქტურების დაცვის მიზნებისათვის ან მეცნიერული კვლევებისთვის და როდესაც ეს მიიჩნევა უმაღლესი საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად. დაუშვებელია სამშენებლო სამუშაოების განხორციელება არქეოლოგიური დაცვის ზონების ფარგლებში.

### XII. იუნესკოს რეგულაციები

#### ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების დაცვა.

